# სარბიელი

სპორტული გაზეთი  პარასკევი 4 აპრილი 2003 №59 (1830)  ფასი 50 თეთრი


# საქართველოს მწვრთნელი სჭირდება




# უცხოელი!



## ფეხბურთელებს სპეციალისტი ენატრებათ



# პასუხისმგებელი ვარ! ყველაზე ქართული ტყუილი

*1993 წლის 27 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ქართული ჯარი სოხუმიდან უნდა გამოსულიყო, ლტოლვილები კი სოხუმში დაბრუნებულიყვნენ. ჩვენც, აფხაზებიც და რუსებიც შეთანხმებას დავიცავთ, ამაზე პასუხისმგებელი მე ვარ — თქვა მაშინ შევარდნაძემ.*

*ორი თვის მერე სოხუმი დაეცა, შევარდნაძის პასუხისმგებლობით შინ დაბრუნებული ხალხი კი დაიღუპა. სახელმწიფოს მეთაურს პასუხისმგებლობა აღარ გახსენებია.*

*მას მერე ათი წელი გავიდა. ამ ათ წელიწადში დიდ-პატარა ჩინოვნიკებმა „პასუხისმგებელი ვარ!" არიფთა გასაბითურებელ სიტყვებად აქციეს*

## ფედერაცია

ალექსანდრე ჩივაძე წავიდა, ანუ საქართველოს ნაკრებში ახალი მწვრთნელია დასანიშნი. ჩვენ არ ვიცით, ვინ იქნება ეს კაცი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ვიცით, როგორც დაინიშნება — ისევე, როგორც აქამდე ინიშნებოდნენ.

1999 წლის 10 დეკემბერს ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელებად დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი დანიშნა. „ქართული ფეხბურთისთვის სასიხარულო და სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. უფრო სერიოზული და დიდი როლი დაეკისრება ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს, რომელიც ყველა ნაკრებს კოორდინაციას გაუწევს. ამ პროცესში მეც და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაც აქტიურად ჩავერევით. ნაკრების ყველა პრობლემის აღმოფხვრა სწორედ ამ ხუთი პიროვნების გაერთიანებული ძალისხმევით მოხდება. პასუხისმგებლები ყველანი ვართ, როგორც მიღწეულ, ასევე მიუღწეველ შედეგებზე" — თქვა მაშინ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

მეორე დღეს „სარბიელი" წერდა: „ქართული ფეხბურთის (გნებავთ, მისი თავკაცების) საქმე ისეა, წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდებოდა. არაფერი ახალი, არაფერი პროგრესული. ვფიქრობთ, ორი მწვრთნელი იმისთვისაა საჭირო, რომ ან ორივე დაიძიროს და სამუდამოდ ჩამოშორდეს ქართულ ფეხბურთს, ანაც ორიდან ერთი გაიწიროს."

მერე რაც მოხდა, რა დაგავიწყებდათ — სამარცხვინო მარცხი ჯერ თბილისში, რუმინეთთან, მერე კი უნგრეთში. შედეგად, ფედერაციამ ხელები, ჩვენივარაუდისამებრ, მარტო ყიფიანსა და ძოძუაშვილს შეაწმინდა — პასუხისმგებელი ხუთეულის ორ წევრს — დარჩენილ სამეულს საკუთარი პასუხისმგებლობა არ გახსენებია. უფრო სწორად, სხვანაირად გაახსენდათ. როცა ცხონებულმა ყიფიანმა წასვლისას ითხოვა, ძოძუაშვილი დატოვეთო, ჟორდანიას პასუხი ასეთი გახლდათ: „ორივე მწვრთნელის პასუხისმგებლობა თანაბარი გახლდათ." მწვრთნელების, და არა, პასუხისმგებელი ხუთეულის.



მერე ფედერაციამ ნაკრები ალექსანდრე ჩივაძეს ჩააბარა. მაშინ ჟორდანიამ თქვა, ქომაგსაც და ჩვენც ერთნაირად გვსურს ჩივაძის მწვრთნელობა, ის ქართულ ფეხბურთს სახელს და პრესტიჟს დაუბრუნებსო. ანუ, ჩივაძის დანიშვნაზე პასუხისმგებლობა ჟორდანიამ მთლიანად ერზე გადაანაწილა, მაგრამ როდის და რანაირად შეიტყო ერის სურვილი, არაფერი უთქვამს.

ერთი სიტყვით, ვისაც ჩივაძის დანიშვნას აბრალებენ, იმათ არავინ არაფერს ეკითხება, ხოლო ვინც მწვრთნელს ნიშნავს, საკუთარი პასუხისმგებლობა არასდროს ახსენდება. ასე იყო ყიფიანძოძუაშვილის დანიშვნისას და ასე იყო ჩივაძის შემთხვევაშიც. ჰოდა, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ნაკრების ახალი მწვრთნელიც არავის პასუხისმგებლობით დაინიშნება.

## საფეხბურთო სამყარო

ფედერაცია და მისი პრეზიდენტი მხოლოდ ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომელსაც საქართველოს საფეხბურთო საზოგადოება ჰქვია. ეს ის ხალხია, რომელიც იკრიბება, ამ შეკრებას ყრილობას არქმევს და პრეზიდენტსა და აღმასკომს ირჩევს. მერე პრეზიდენტს გადაწყვეტილებების მიღებას ავალებს, აღმასკომს კი პრეზიდენტის გადაწყვეტილებების დამტკიცებას. მომდევნო ყრილობაზე კი ეს ხალხი ფედერაციის მუშაობას აფასებს.

„საზოგადოების აზრი არ გაგვითვალისწინებია" — თქვა პრეზიდენტმა ნაკრების მწვრთნელებად ყიფიანისა და ძოძუაშვილის დანიშვნისას. მაგრამ საბოლოო სიტყვა ხომ აღმასკომს ეკუთვნის? ჩათვალეთ, რომ ჩვენს წინადადებას გავიტანთ — დასძინა მანვე და მართლაც გაიტანა. აღმასკომის წევრებმა ერთხმად ასწიეს ხელები.

მოგვიანებით, როცა ფედერაციის უფროსობამ საკუთარი პასუხისმგებლობა დაივიწყა და ნაკრების ჩავარდნაში მხოლოდ მწვრთნელები დაადანაშაულა, იმავე აღმასკომმა ისევ ერთხმად აუწია ხელი ყიფიანისა და ძოძუაშვილის მოხსნას.

შემდეგ, ჩივაძის დანიშვნისას, ისევ იმავე აღმასკომმა კვლავაც ერთხმად აუწია ხელი ფედერაციის უფროსობის სურვილს და ახლაც, როცა ჩივაძის წასვლის ოფიციალურად გაფორმებისა და ახალი მწვრთნელის დანიშვნის დამტკიცება მოუწევთ, რა უნდა მოხდეს, რომ ერთსულოვანნი არ იყვნენ. უნდა მოხდეს ის, რომ აღმასკომმა გადაწყვეტილებებზე თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს. უნდა რო?

როგორ დავიჯეროთ, რომ ამდენი ხალხიდან თუნდაც ერთს არ აქვს განსხვავებული აზრი, თუნდაც უმნიშვნელო შენიშვნა, ერთი უბრალო კითხვა მაინც? ფაქტია, რომ — არა. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში აღმასკომელები ერთმანეთს ასწრებდნენ ხელის აწევას. ყოველი სხდომა ქეიფს გავდა, თამადა სადღეგრძელოს რომ იტყვის და აბა, ავიტაცოთო, ბოლოს დაჰქუხებს.

და ყრილობა? წინა ზაფხულს გამართულმა ყრილობამ ფედერაციაში ყველაფერი ძველებურად დატოვა. ესე იგი, ჩათვალა, რომ ნაკრები აღმავლობის გზაზეა და ეროვნული ჩემპიონატიც უკეთესი გახდა.

## მწვრთნელი

რაც ყრილობა, ისიც ფედერაცია და რა ფედერაციაც, ისიც მწვრთნელი. თევზი თავიდან ყროლდება და ამიტომაც მწვრთნელთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ალექსანდრე ჩივაძესთან, პრეტენზია ყველაზე ნაკლებად გვაქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ გვაქვს.

ნაკრებიდან პირველად წასვლის მერე ჩივაძემ თქვა, ღირსი არ ვიყავი, ქომაგს ჩემსკენ ბოთლი ესროლა, ამას არ ვიმსახურებდი, ვგრძნობდი, რომ კიდევ შემეძლო ხალხის გახარებაო.

ეს უკვე ის შემთხვევაა, როცა კაცი ვერ გრძნობს, რა არის პასუხისმგებლობა. თუმცა იმას კი სჯობს, რომ იციან და არაფრად უღირთ.

მაგრამ ჩივაძეს მაინც მიეცა ხალხის კიდევ გახარების შანსი. თანაც ცოდნა გავიღრმავე და ისე დავბრუნდიო, თქვა ნაკრებში მეორედ მოსულმა.

ესეც უპასუხისმგებლო განცხადება აღმოჩნდა: მის ცოდნას სიღრმე ვერ ვუპოვეთ.



## ახალი მწვრთნელი

მერაბ ჟორდანიას ადრეც უთქვამს და ახლაც გაიმეორა, ალექსანდრე ჩივაძე საუკეთესო ქართველი მწვრთნელიაო. ეგებ ასეც იყოს, მაგრამ ჩივაძე ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ლოგიკურ ჯაჭვს მივყვეთ: თუ ჩივაძე საუკეთესოა და ნაკრების ახალი მწვრთნელი ისევ ქართველი იქნება, გამოდის, რომ ფედერაცია ნაკრებს ჩააბარებს ისეთ პიროვნებას, რომელიც საუკეთესო არ იქნება. ჰოდა, თუ საუკეთესო ქართველი მწვრთნელის ხელში ნაკრები ძალიან ცუდად თამაშობს, უარესი მწვრთნელის ხელში ხომ უფრო ცუდად ითამაშებს. გამოდის, რომ მერაბ ჟორდანიამ, ვითარების გამოსწორება თუ სურს, ჩივაძეზე უკეთესი უცხოელი მწვრთნელი უნდა მოიწვიოს, მისმა მორჩილმა აღმასკომმა კი კვლავაც აწიოს ხელი, ხოლო მომდევნო ყრილობაზე ისევ კმაყოფილებმა აკანტურონ თავები.

ფედერაციაში შეიძლება თქვან, კარგი უცხოელის ხელფასს ჩვენი ჯიბე ვერ გასწვდებაო.

ორი წლის წინ, როცა შესარჩევი ციკლის შუაგულში ნაკრებს ახალი მწვრთნელის მოძებნა დასჭირდა, ჟორდანია ამბობდა: „ფედერაციას აქვს იმის საშუალება, რომ გუნდი საშუალო ევროპული დონის სპეციალისტს ჩააბაროს. ნაკრებისთვის პრემიების დარიგება აღარ დაგვჭირდება და ის თანხა მწვრთნელისთვის საკმარისი იქნება." ვფიქრობთ, პრემიების დარიგება არც ახლაა საჭირო და არც მწვრთნელებს გაზრდიათ მადა. ისე კი, ნუ გაგიკვირდებათ, თუ უახლოეს მომავალში ფედერალები რომელიმე ქართველ მწვრთნელს დაადებენ ხელს და იტყვიან, აი, ეს არის საუკეთესო ქართველი მწვრთნელიო. ამის მაგალითები გვაქვს. სანამ ჩივაძეს უწოდებდა საუკეთესოს, ჟორდანია რამდენიმე თვით ადრე ასეთებად ყიფიანსა და ძოძუაშვილს მოიხსენიებდა. ჰოდა, ერთხელ თუ შეიძლება გადათქმა, მეორედ წინ რა უდგას?! პასუხისმგებლობის გრძნობის გარდა არაფერი, მაგრამ პასუხისმგებლობა თუ არ არსებობს, ყველაფერიც შეიძლება.

## პასუხისმგებლობა

ალბათ, ამით უნდა დაგვეწყო, მაგრამ ბოლოში თქმითაც არაფერი დაშავდება, უთქმელობა კი არ იქნება.

პასუხისმგებლობა უკვე რამდენჯერ ვახსენეთ, მაგრამ მაინც როგორ უნდა მოიქცეს კაცი, როცა ამბობს, პასუხისმგებელი ვარო და ის საპასუხისმგებლო საქმე არ გამოსდის?

საქმესაც გააჩნია: შეიძლება ბოდიშის მოხდაც საკმარისი იყოს, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი უნდა თქვას, ვერ ვივარგე და ჩემზე უკეთესს გადავაბაროთ ამის გაკეთებაო. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, კაცი მიხვდეს, რომ საქმე არ გამოსდის და ამან შეაწუხოს. ერთი სიტყვით, პასუხისმგებლობის გრძნობა ზნეობრივი გრძნობაა.

და რა ვქნათ მაშინ, როცა კაცს ეს გრძნობა არა აქვს. გამოსავალი ის არის, რომ მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კრიტერიუმებით შეაფასო და სასჯელიც იმისდა მიხედვით დააკისრო. მაგრამ აქაც არის ერთი მთავარი პირობა — თუ უპასუხისმგებლო ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხს სხვა უპასუხისმგებლოები განსაზღვრავენ, არაფერი გამოვა.



*ქართული საფეხბურთო სამყარო უპასუხისმგებლოა. ის თავისი წიაღიდან ირჩევს ფედერაციის უფროსობას. ფედერაცია იმავე უპასუხისმგებლო სამყაროში პოულობს კაცს, რომელიც უპასუხისმგებლოდ წვრთნის ეროვნულ გუნდს. და თუ მოხდება ისე, რომ ეს სამყარო მონყალებასავით მიუგდებს ხალხის წიაღიდან გამოსულ ნაკრებს კარგ, უცხოელ მწვრთნელს, დიდი შანსია, ეს მწვრთნელიც ამ საყოველთაო უპასუხისმგებლობის ჭაობში ჩაიძიროს და დაიხრჩოს.*

## და გამოსავალი?

# სისულელეა, დიდი სისულელე!

## ნაცარი მთელი საქართველოსთვის

აბა, როგორ გინდათ: ასეთ ქვეყანაში ვერც კინო გაიხარებს, ვერც თეატრი და ვერც თქვენი ფეხბურთიო. უდაბნოში ვართ და ოაზისს ტყუილად ეძებთო — მავნე აზრს, თითქოს საქართველოს ეროვნული გუნდი მაშინ მოიგებს, როცა ივერია გაბრწყინდება, გუშინწინდელ სატელევიზიო ინტერვიუში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მინისტრიც დაეთანხმა.

რომ გითხრათ, ცხოვრების შარაგზას ბატონი ჟორბენაძის გამოთქმული აზრების გათვალისწინებით მივყვები-მეთქი, ალბათ არ დამიჯერებთ. მით უმეტეს, არაფრად მიღირს მისი „კონცეფცია“ ქვეყნისა და მისი საფეხბურთო ნაკრების „ურთიერთპარალელური წინსვლის“ შესახებ. უბრალოდ, ვიეჭვე, რომ საქართველოს ხელისუფლების რანგით მესამე პირი ალბათ სხვა სფეროშიც ასევე კომპეტენტურად და იოლად წყვეტს შექმნილ პრობლემას, რაც, ცხადია, დიდად სამწუხარო გახლავთ.

უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ თავის მსგავსი გამართლება „მაღალ ეშელონებში“ თავად საფეხბურთო წრეებიდან აღზევდა. რახანია ისმის — ამ გამათხოვრებულ, დაშლილ, გაუბედურებულ და ა.შ. (ვაღიარებ, ყველანაირი უარყოფითი ეპითეტი შეესაბამება) ქვეყანაში ძლიერი ნაკრების არსებობა გამორიცხულიაო. შემპასუხებელიც ბევრი არავინ გამოდგა. ესენიც გალაღდნენ და აი, სახელმწიფო მინისტრიც კი დააჯერეს (იმასაც მეტი რა უნდოდა?!).

მომიტევეთ და, სისულელეა, დიდი სისულელე — საკუთარი უუნარობის, გამოუცდელობის და საქმეში ჩაუხედაობის გასამართლებლად მოგონილი: აქაოდა, ჩვენ კი ვართ მაგრები, მაგრამ ეს მთა დგას უშნოდ, ეს მდინარე იქ არ მოედინება, სადაც საჭიროა, ბარი კი ნამეტანი გადაჭიმულა და სწორედ ეს გვიშლის ხელსო.

არადა, ამაზე იოლად გასაბათილებელი თეორია არ არსებობს. ამისთვის, უბრალოდ, წიგნის ან გაზეთის გადაშლაა საჭირო, სადაც ამოიკითხავთ, რომ ნიგერიის მოსახლეობის 70 პროცენტი სიღარიბის უკიდურეს ზღვარზე ცხოვრობს და თანაც სამოქალაქო ომითაა გათანგული, ახალი ზელანდია კი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით მსოფლიოში პირველია. ამის მიუხედავად, ნიგერიის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატების უცვლელი მონაწილეა, ზელანდიელები კი ამ შეჯიბრზე ერთადერთხელ, 21 წლის წინ მოხვდნენ. მახსოვს, 1994 წელს სწორედ ნიგერიიდან ჩამოსული ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ჰყვებოდნენ, ქუჩაში სენდვიჩის გადაგდებულ ნაჭერზე ხალხი ერთმანეთს ხოცავდაო. ისიც მახსოვს, მაშინ საქართველოს ნაკრებმა იქ 1:5 წააგო.

დიახ, ფეხბურთი, სხვა უამრავ ღირსებებთან ერთად, დემოკრატიული სპორტია, რომლის მეფედაც დღემდე ვალებში ჩაფლული ქვეყნის ერთი უბრალო მეწაღის შვილი ითვლება.

ჰოდა, ამ გადასარევ სპორტის სახეობაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად სულაც არ არის საჭირო, საქართველოში ნავთობმა ამოხეთქოს. ამისთვის საჭიროა 1 (დიახ: ერთი, კინკილა) მცოდნე სპეციალისტი, რომელსაც ხელს არ შეუშლით და რომელიც 20-25 შეძლებული, გადათხრილ გზებსა და ლიფტში გაჭედვას გარიდებული ქართველი ფეხბურთელისგან ერთი საშუალო დონის ევროპული გუნდის შექმნას შეეცდება.

თუმცა ეს მეორე ნაბიჯია. პირველი კი იმის აღიარებაა, რომ სულაც არ ვართ ეგეთი მაგრები და ჭკვიანები. მაშინ მივხვდებით, რომ, სულ მცირე, უხერხულია იმ კაცის ყველაზე გამოცდილ მწვრთნელად აღიარება, ვისაც ცხოვრებაში მხოლოდ... 35 თამაშში უთავკაცია ამა თუ იმ გუნდისთვის (ჩვეულებრივი ევროპელი მწვრთნელი ასეთი გამოცდილების მიღებას ნახევარ სეზონში „ახერხებს“); მაშინ მივხვდებით, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდს ისევე სჭირდება მართლაც გამოცდილი ევროპელი მწვრთნელი, როგორც ქართულ ჯარს — ამერიკელი ინსტრუქტორები; მაშინ მივხვდებით, რომ საქმის კეთებისას მთავარი არა გაგება, საძმო და სანათესაოა, არამედ — ცოდნა, პროფესიონალიზმი და სიბერემდე სწავლა; და რაც მთავარია, მაშინ მივხვდებით, რომ მთა-ბარზე გადაბრალებით ვერავის მოვატყუებთ.

**გიგა ძოწახიძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ალავერდი პაივცემულ მთავრობასთან

აბა, ერთ წუთს ყურადღებას გთხოვთ! ახალგაზრდებო, თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი, ცოტა ჩვენც მოგვისმინეთ! მე თქვენ ხომ დაგპირდით, რომ იმ დანას დავაბრუნებინებ?! ხომ დაგპირდით? ჰოდა, გენაცვალეთ თქვენ, ეხლა მომისმინეთ! ეს ისეთი სადღეგრძელოა, ყველამ უნდა მოისმინოს და ბოლომდე დაცალოს! წვეთი არ უნდა დარჩეს! მე მინდა ჩვენ გაგვიმარჯოს! აი ჩვენ, ყველას! და რატომ, იცი? იმიტომ, რომ ჩვენ ერთნი ვართ, ერთი ხალხი ვართ. ერთი ჯიგარი, ერთი სისხლი, ერთი ამბავი გვაქვს და ერთი გაგება. ეხლა შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ წავაგეთ, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენი დამარცხება არ არსებობს. კაი, ბატონო. ჩამოვიდა ის ირლანდია და წაიღო სამი ქულა. იქამც ჰქონდეს, ჩვენს ერთობას ხომ ვერსად წაიღებს, ჩვენს ურთიერთობას ხომ ვერავინ წაგვართმევს! სწორედ რომ მაგით ვჯობივართ ყველას – ისინი ქულებს და არითმეტიკას ეხარბებიან, ჩვენ – გულს! და მე თქვენ გეკითხებით, რა ყრია მაგ იმაში, რა ჰქვია?... ფუ! არაფერი! მერედა ჩვენ ზურგს იმხელა ამბავი გვიმაგრებს, რომ ... სად არის ეგრე, სად? სად იყვნენ ვიღაც შვეიცარიელები, ჩვენ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ჩვენ სიტყვას რომ ვამბობდით?! აბა, ერთი შვეიცარიელი ვარსკვლავი დამისახელეთ! აბა, ერთი ირლანდიელი ვარსკვლავი დამისახელეთ! ორივე ირლანდია რომ გააერთიანო – ახალგაზრდებო, თქვენი ჭირიმე, ეგ ირლანდია ორია. ეხლა თქვენ ცოტა უმცროსები ხართ და ეგ ამბავი შეიძლება არ იცოდეთ, – ჰოდა, რომ გააერთიანო, ერთი ჯორჯ ბესტი გამოუვათ და ისიც ქართველ კაცს ჰყავს დაკეტილი. ერთხელ ფეხი არ გაანძრევინა, აი, ასეთი წარსულის ხალხი ვართ და, ჩემო ძვირფასო ადამიანებო, ამიტომაც გთავაზობთ ჩვენი დიდი ისტორიის სადღეგრძელოს. დამიჯერეთ, ჩვენ ერთმანეთს უნდა მოვეფეროთ. სამი ქულა, თუნდაც ასი ქულა არ ღირს იმად, რომ ჩვენ ერთმანეთის საყვედური წამოგვცდეს. იმიტომ, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ქულას კი არა, სიყვარულს ვითვლით. როგორ შეიძლება მენიანზე თქვა, რაღაცას ისე ვერ აკეთებსო?! ქართველობაა, ჩემო კარგო ხალხო, ამბავია და ხვალ ერთმანეთს თვალებში უნდა შევხედოთ. ფეხბურთი რა არის? ფეხბურთი ჩვენი ცხოვრებაა და ამიტომ ამ ამბავში და ცხოვრებაში უნდა მოვეფეროთ ერთმანეთს. აი, გაცხარდა ახალგაზრდა კაცი და დანა ისროლა. რატომ იცი? იმიტომ, რომ უყვარს, იმიტომ, რომ გული შესტკივა. რა მოხდა მერე, ისროლა, ვინმესთვის ხომ არ დაურტყია? ჰოდა, მე მაგ დანას დავაბრუნებინებ. აი, ასეა! მოგება და წაგება ძმები არიან. დღეს წავაგეთ? ხვალ მოვიგებთ! ხვალაც წავაგებთ? იქამც ყოფილა! მთავარია, რომ ჩვენ სიყვარულს არ გავცვლით და ამიტომაც ვსვამ სიყვარულის სადღეგრძელოს!



# კახა კალაძე: უცხოელი!

*იტალიური „მილანის“ ქართველმა მცველმა კახა კალაძემ დაშავებული ფეხის მკურნალობა დაამთავრა და გუშინ საექიმო კაბინეტიდან მოედანზე გადაინაცვლა — ძუნძული დაიწყო. კალაძეს, შეგახსენებთ, სამი კვირის წინ უმტყუნა საზარდულმა და იძულებით დასვენებამ მოუწია. მან ამ პერიოდში რამდენიმე საკლუბო და ორიც სანაკრებო მატჩი გამოტოვა. ორი სანაკრებო მატჩი, რომელიც მწვრთნელის გადადგომითა და სამი გამოცდილი ფეხბურთელის ეროვნული გუნდიდან წასვლით დასრულდა.*

*რას ფიქრობს ნაკრებზე მისი ერთ-ერთი ლიდერი? როგორ აფასებს ის ქეცბაიას, ქინქლაძის, ჯამარაულისა და მწვრთნელ ჩივაძის გადადგმულ ნაბიჯებს? ვინ უნდა ჩაიბაროს ეროვნული გუნდი? ამ კითხვებზე კახამ გუშინწინ, შვეიცარიასთან მატჩის წინ გვიპასუხა, როცა მილანში დავუკავშირდით*

— ექიმების ნებართვით, ძუნძულს, მსუბუქ ვარჯიშს ხვალიდან შევუდგები. საზარდული უკვე აღარ მაწუხებს, გამოვჯანმრთელდი, მაგრამ მოსალოდნელად ერთკვირიანი ინდივიდუალური ვარჯიში დამჭირდება. მომავალ კვირაში კი უკვე გუნდს შევუერთდები. შაბათს „პარმასთან“ მატჩსაც, რა თქმა უნდა, გამოვტოვებ, შემდეგ უქმეებზე კი ალბათ ვითამაშებ.

**— შენს არყოფნაში ნაკრებში მნიშვნელოვანი ცვლილებები რომ მოხდა, გაიგებდი.**

— გავიგე და რა ვთქვა, არც კი ვიცი. ჩივაძე საქართველოში საუკეთესო მწვრთნელია. მან ნაკრები მეორედ ჩაიბარა და, სამწუხაროდ, ვერც ახლა მივაღწიეთ წარმატებას. ჩივაძის გადაწყვეტილებას მე ვერ შევაფასებ. ეტყობა, საჭიროდ ჩათვალა და იმიტომ წავიდა.

**— ნაკრებს ფეხბურთელებიც დაემშვიდობნენ...**

— ეს კი არასწორი ნაბიჯი მგონია. ისინი გამოცდილი ფეხბურთელები არიან და როცა ნაკრებს უჭირს, მაშინ არ უნდა წასულიყვნენ. ირლანდიასთან წაგების შემდეგ ახალგაზრდებს გამხნევება სჭირდებათ და ეს ფეხბურთელები ამას შეძლებდნენ.

**— საქართველო — ირლანდიის მატჩი ნახე?**

— არა, არ მინახავს, მაგრამ მგონია, რომ ირლანდია დაუმარცხებელი მეტოქე არ უნდა ყოფილიყო.

**— ჩივაძე წავიდა, ახალი მწვრთნელი დასანიშნია. ისევ ქართველ თავკაცს ისურვებდი?**

— უკვე ვთქვი, ჩივაძე საქართველოში საუკეთესო მწვრთნელია და რაკი არც მას ჰქონდა კარგი შედეგი, გამოდის, რომ უცხოელი გვჭირდება. უცხოელი, თანაც გამოცდილი, ისეთი, ევროპაში რომ იცნობენ და მაღალი დონის სპეციალისტად ითვლება. თუ სერიოზული წარმატება გვსურს, ვფიქრობ, ასე აჯობებს.

**ძოზა ინასარიძე**

# ფულის ამბავი

## მოთამაშეები სიონს ედავებიან

**ბოლნისურ „სიონს“** დღეს სატრანსფერო სასამართლო ელის. სფფ-ის სატრანსფერო კომიტეტი 12 საათზე „სიონის“ სამი ფეხბურთელის საჩივარს განიხილავს.

ყველაფერი ჯერ კიდევ პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყო. ქვემოქართლელებმა მეტოქესთან გარიგებაში დასდეს ბრალი რამდენიმე ფეხბურთელს და სხვებთან ერთად გუნდიდან დავით გოდერძიშვილი, კახა სიდამონიძე და გია ჩხაიძე დაითხოვეს. ბოლნისიდან ლტოლვილებმა ქიზიყს შეაფარეს თავი — წნორის „მილანში“ ჩაირიცხნენ და ამ გუნდის შემადგენლობაში სათასო მატჩებშიც ითამაშეს. ერთი შეხედვით, ყველაფერი ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ზედ ჩემპიონატის განახლების წინ ბოლნისელებმა „მილანს“ განაცხადში არ შეაყვანინეს ზემოთ ნახსენები სამეული. თუ დასჯაა, დასჯა იყოს, ამ ფეხბურთელებს ივნისამდე აქვთ ჩვენთან კონტრაქტი და ამ ხნის მანძილზე ბურთს ფეხს ვერ დააკარებენო — ასეთი გახლდათ ქვემოქართლელთა გადაწყვეტილება.

უსაქმოდ დარჩენილმა მოთამაშეებმაც ფედერაციაში იჩივლეს, მოგვხედეთ, გვჩაგრავენო. საჩივრის საფუძველი სამი თვის გადაუხდელი ხელფასი გახლდათ. ფედერაციამაც ულტიმატუმი წაუყენა ბოლნისელებს, 31 მარტამდე ფეხბურთელებს დაფინანსებას თუ არ გადაუხდით, აუცილებლად გაგიბათილდებათ მათთან ხელშეკრულებებიო, მაგრამ თავის მხრივ „სიონის“ მესვეურებმა დამატებითი მტკიცებულებები წარმოადგინეს — სფფ-ის სატრანსფერო კომიტეტმა ბოლნისიდან ოფიციალური წერილი მიიღო, ფეხბურთელთა დეკემბრის ხელფასი დარიგებული გვაქვს, იანვართებერვლის სახელფასო უწყისებიც გამოწერილია, მაგრამ ფულს მაინც არ გაღავიხდით, რადგან სიდამონიძეს, ჩხაიძესა და გოდერძიშვილს ჯარიმის სახით იმდენჯერ აქვთ ხელფასი დაქვითული, ჩვენი აქეთ მართებთო.

მოკლედ, დღეს მტყუან-მართალს სატრანსფერო კომიტეტი გაარჩევს, რომლის თავმჯდომარეც ევგენი მეტრეველია. მას გადაწყვეტილების მიღებაში გია ძმუკაშვილი, რევაზ შენგელია, ნოდარ კაკულია და ილია მჭედლიშვილი შეეშველებიან.

**ბაატა ძვანტალიანი**

# შვეიცარიული გაზეთები ნამატჩევს

# სადღა არიან ყიფიანები, ჩივაძეები და დარასელიები...

## უცხოც იმას ჩივის, რასაც ქართველები

### BLICK

...შტეფან შაპუიზამ გამარჯვების გოლი ვერ შეაგდო. პასკალ ცუბერბიულერმა კი შვეიცარია ორ გოლს გადაარჩინა. საქართველოსთან 0:0 დამთავრებული მატჩის შემდეგ ორივე ერთ აზრზე იყო: „ჩვენ ორი ქულა კი არ დაგვიკარგავს, არამედ ერთი მოვიპოვეთ.“

...შაპუიზა ნამატჩევს ასე მსჯელობდა: „როგორც ველოდით, მძიმე შეხვედრა გამოდგა. ქართველები თავს კარგად იცავდნენ, მინდორი ოღრო-ჩოღრო იყო, ბურთი კი სასაცილოდ დახტოდა. ასეა თუ ისე, სამ გასვლით მატჩში ჩვენ ხუთი ქულა მოვიპოვეთ და ეს რიგიანი შედეგია. ახლა საშინაო მატჩები უნდა მოვიგოთ.“

... შვეიცარიელთა მწვრთნელი კობი კუნი არც მატჩამდე მალავდა, რომ ქართველებთან ფრე მისთვის მისაღები შედეგი იქნებოდა.

**— ჰერ კუნ, ნუთუ ყველაფრით კმაყოფილი დარჩით?**

— ცხადია, არა. გასაკრიტიკებელი საკმარისადაა, მაგრამ ამის გაკეთებას საჯაროდ არ ვაპირებ. ეს დაძაბული მატჩი იყო და ორივე გუნდი ბევრს სცოდავდა.

**— მატჩის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ თქვენ შემტევი ალექს ფრეი გამოცვალეთ — ნიშნავს თუ არა ეს, რომ ფრეზე თამაშობდით?**

— არამც და არამც. ამ დროისთვის ჩვენ პრობლემები შეგვექმნა ნახევარდაცვაში და ეს შეცვლაც ამან განაპირობა. თუმცა ვერც იმას უარვყოფ, რომ გასვლაზე ფრე რიგიან შედეგად მიმაჩნია. ასევე ვამბობდი ალბანეთში 1:1-ის შემდეგ.

**— რუსეთთან, ალბანეთთან და ირლანდიასთან შინ გასამართი მატჩების შემდეგ უკვე ევროპის ჩემპიონატზე ვართ?**



შტეფან შაპუიზა ნამატჩევს უხასიათობას არ უჩიოდა

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ასე მოხდეს.

### TAGES-ANZEIGER

.. შვეიცარიელმა ფეხბურთელებმა ქართველებთან 0:0 ითამაშეს. თითქოს უფრო მეტის მიღწევაც შეიძლებოდა, თუმცა მათი საევროჩემპიონატო პერსპექტივები არც ასეთ შედეგს გაუფერმკრთალებია.

.. ამ საკმაოდ ულიმღამო მატჩის ლამის ერთადერთი პოზიტიური მხარე ის იყო, რომ განსხვავებით ოთხი დღით ადრე საქართველოსა და ირლანდიას შორის გამართული შეხვედრისაგან მან ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

### LE TEMPS

.. ძალზედ ფრთხილად მოთამაშე შვეიცარიელებმა ხელიდან გაუშვეს გამარჯვება, რაც მათ თავდაჯერებას კიდევ უფრო გაამყარებდა.

.. შაბათის მატჩთან შედარებით ქართველებმა უკეთ ითამაშეს და მეტი სულისკვეთებაც გამოავლინეს, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. გუნდს კარგი, ტექნიკური ინდივიდუალისტები ჰყავს, მაგრამ აკლია ერთიანობა და სიმტკიცე.

... სადღა არიან ყიფიანები, ჩივაძეები და დარასელიები... ეს ქართველი ფეხბურთელები ხომ 70-80-იან წლებში საბჭოთა ფეხბურთის აღიარებული ვარსკვლავები იყვნენ.

# ფედერაციამ წესდება ქართულად დაამტკიცა და ინგლისურად გააგზავნის

## ისრაელმა თბილისს დაუმიზნა

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია გახარებული იყო – დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ფიფა-უეფას მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი ფედერაციის ახალი წესდება გაატარა რეგისტრაციაში. გუშინვე სფფ-მ უეფას ექსპერტ ვინსენ მონიესგან ფაქსი მიიღო – კმაყოფილნი ვართ ჩვენი კონსულტაციები რომ გაითვალისწინეთ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი წესდების ასლს ველითო.*

*ამ და სხვა საკითხებზე ვალერი ჩოლარიამ გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრა*



— თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ფედერაციას უკვე ახალი, ფიფა-უეფას სტანდარტების შესაბამისი წესდება აქვს. დღეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა ჩვენი წესდება. ეს ნოტარიუსითაც დამტკიცებულია. წესდების ინგლისურ ენაზე თარგმანსაც უახლოეს დღეებში დავამტკიცებთ ნოტარიუსში და ფიფა-უეფას შესაბამის კომიტეტებს გავუგზავნით. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და მიხარია, რომ ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც ფიფა-უეფა ითხოვდა.

— ალექსანდრე ჩივაძეს დღეს შევხვდი, საქმიანი საუბარი გვქონდა. მართალია, მან ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა, მაგრამ როგორც იცით, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ყველა ასაკობრივი ნაკრების კურატორია.

— ირლანდიასთან მატჩისას სტადიონზე მომხდარ ამბებზე აბა, რაღა ვთქვა. უეჭველია, რომ უეფა ფინანსურად დაგვსჯის. საბედნიეროდ, ამგვარი არეულობები შვეიცარიასთან არ ყოფილა. ამიტომ სრულიად უსაფუძვლო მგონია ის ხმები, თითქოს რუსებთან ნეიტრალურ მოედანზე ვითამაშებთ. ასეთი რამ აზრადაც არ მოგვსვლია. შემიძლია, ვთქვა, რომ 99 პროცენტით რუსეთს თბილისში ვუმასპინძლებთ. არანაირ სათადარიგო ვარიანტზე არ ვფიქრობთ. ის კი ფაქტია, ჯარიმას ვერ ავცდებით.

— დღეს ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინ მოამზადებს ნაკრებს რუსეთთან მატჩისთვის. ამაზე მერაბ ჟორდანიასთან კონკრეტულად არ მისაუბრია. ცხადია, არც ის ვიცი, ვინ ჩაიბარებს ეროვნულ გუნდს სამომავლოდ. ეს ისეთი საკითხია, რომ აჩქარება დამღუპველი იქნება. გვაქვს გარკვეული თეორიული მონახაზები, მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკი ჯერ არ ღირს.

— ფედერაციას აქვს იმის საფუძველი, რომ ნაკრები უცხოელ მწვრთნელს ჩააბაროს. ორი დღეა, მოლაპარაკება გვაქვს ჩვენს საქმიან პარტნიორებთან და მათგან ფინანსური მხარდაჭერაზე თანხმობა მივიღეთ. ასე რომ, ახლა ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ. ვნახოთ, ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია.

— როგორც ვიცი, ნაკრებიდან სამუდამოდ მხოლოდ თემურ ქეცბაია წავიდა. გოჩა ჯამარაულს და გიორგი ქინქლაძეს კი ასეთი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ინფორმაცია მაქვს. რა ილაპარაკეს ჩივაძემ და ფეხბურთელებმა ერთმანეთში, ეს არ ვიცი.

— ახლახან ისრაელის ფეხბურთის ფედერაციიდან ფაქსი მივიღეთ. ებრაელები გვთხოვენ, ივნისში სლოვენიას და სექტემბერში მალტას თბილისში ვუმასპინძლებთო. მოგეხსენებათ, უეფა ისრაელში საერთაშორისო მატჩების ჩატარებისგან თავს იკავებს. მათაც ჩვენ მოგვმართეს დახმარებისთვის. ჩვენ ამის შესახებ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს ვაცნობეთ. თანხმობა განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც. ასე რომ, ხვალ ებრაელებს დადებით პასუხს ვაცნობებთ. თუკი ისრაელმა თბილისი აირჩია, პრობლემა არ ექნებათ. ცხადია, მათგან არანაირ ფინანსურ შემოსავალს არ ველით. სფფ მხოლოდ კეთილ ნებას იჩენს ებრაელების მიმართ. უბრალოდ, მათ მოუწევთ მატჩების ორგანიზებისთვის დახარჯული თანხის დაფარვა.

**კახა შალამბერიძე**

*ირლანდიასთან და შვეიცარიასთან ჩავლილი შეხვედრების შემდეგ არავინ იტყვის, რომ ნაკრებს მეკარე არ ჰყავს. გიორგი ლომაიამ ყველა დაგვარწმუნა. მას უკვე ჩამოყალიბებულ მეკარედ აღიქვამენ. ამიერიდან ქართველთა დაცვას მოწინააღმდეგის ყველა შემოტევისას ელეთმელეთი აღარ დაემართება და უფრო თავისუფლად გაირჯება. სადღეისოდ კი ერთის თქმა შეიძლება, გიორგი ლომაიამ ნაკრების კარი დიდი ხნით ჩაიბარა.*

*მას ადრეც ჰქონია წარმატებული პერიოდი, თუმც ბოლო დრომდე გამუდმებით იბრძოდა კუთვნილი ადგილისთვის. ყოველი ჩავარდნის შემდეგ გაორკეცებული ჟინით აგრძელებდა შრომას და ეროვნული გუნდის მთავარმეკარეობაც იშვიათმა სიბეჯითემ მოუტანა.*

*კარგად გვახსოვს ნაკრებში მისი სადებიუტო მატჩი. რედაქციაში ნაწვევ გიორგისთან საუბარიც სწორედ ესტონეთთან საშინაო თამაშით დავიწყეთ, ნაკრების პრობლემებსაც ვუტრიალეთ და ეს ინტერვიუც შედგა*



# რუსების მერე ლომაიას აღარავისი ეშინია

## ნაკრების ახალ მეკარეს თვალი უცხოელისაკენ და უცხოეთისაკენ უჭირავს

— ის დღე არასოდეს დამავიწყდება. მეორე ტაიმში ნაკრების მაშინდელმა თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა გადმომძახა, გახურდიო. საშინლად ავღელდი, თითქოს სანერვიულოც რა იყო, მეტოქეს დიდი ანგარიშით ვუგებდით, მაგრამ ნაბოძებმა შანსმა მაინც თავისებურად იმოქმედა. რა დიდი გუნდი ესტონეთია, მაგრამ მაშინ ჩემთვის ბრაზილიელები იყვნენ. მოჭარბებულმა ემოციამ თავისი ქნა. სადებიუტო თამაშში გოლი გავუშვი. ახლა იმ მომენტს რომ ვიხსენებ, მეცინება, მეტოქის დარტყმულის მოგერიება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ მღელვარებამ შემბოჭა, ნახტომისას ფეხიც იმიტომ დამიცურდა და ვერ ვივარგე.

**— თავდაჯერება თურქეთში ჩატარებულ მატჩშიც გაკლდა...**

— პრინციპული მატჩები მანამდეც მითამაშია, თუნდაც ნორვეგიაში იქაურ ახალგაზრდებთან 0:0 დამთავრებული შეხვედრა გავიხსენოთ, მაგრამ თურქეთის დარ ძლიერ გუნდთან ნაკრების კარი პირველად მანდეს. თავი ვერაფრით მოვთოკე, თანაც ძირითადში რომ მაყენებდნენ, თამაშის წინ გავიგე.

ის ჯარიმა არ იყო ისეთ მაღალ დონეზე შესრულებული, სხვა დროს მოგერიება გამჭირვებოდა. გულუბრყვილო, უნებლიე შეცდომა დავუშვი, როცა თანაგუნდელებმა კედელი აღმართეს, ახლო კუთხისკენ ჩვენებს ორი მასპინძელი მიუდგა. მეც, ბურთი რომ დამენახა, კიდევ უფრო ახლო კუთხისკენ გადავიწიე და შორეულში ჩახვეულს, ბუნებრივია, ვერ შევწვდი.

თურქების მეორე გოლისას მე ვერას გავხდებოდი. მეტოქის თავური უნაკლო და აუღებელი იყო, მესამე კი უნდა მომეგერიებინა. კი, მასპინძელთა თავდამსხმელმა ზუსტად და ძლიერად გაისროლა, მაგრამ ცუდ დროს გადავწყვიტე კუთხის შემცირება. წინ ნაადრევად დავიძარი და მოძრაობაზე დაჭერილიც აღმოვჩნდი.

**— იმ თამაშის შემდეგ რუსეთთან ნაკრების ძირითადში შენი გამოჩენა ბევრისთვის მოულოდნელი იყო.**

— ეს უფრო იძულებითი ნაბიჯი იყო. ძირითადობა თავიდან გვარამაძეს დაეკისრა, მაგრამ დათოს თამაშის წინა დღეს მამა გარდაეცვალა. ღამენათევი და მწუხარებით დათრგუნული ბაზაზე მაინც დაბრუნდა. როცა მწვრთნელებმა ჩემი დაყენება გადაწყვიტეს, გვერდიდან არ მომშორებია, მამხნევებდა, არადა, თავად იყო სანუგეშებელი. მაშინ გადავწყვიტე, დათოსთვისაც მეთამაშა. ოთარ გაბელია ხომ სულ მამშვიდებდა და ფსიქოლოგიურადაც გამაწონასწორა. თანაც რუსებთან დაპირისპირება ფეხბურთის ჩარჩოებში არ ეტეოდა. ვიცოდი, ჩემი თანამემამულეების გულში რა ცეცხლი ტრიალებდა, ისიც კარგად მესმოდა, იმდღევანდელ შეცდომას რომ არავინ მაპატიებდა. ამიტომ თავს ალელვების უფლება არ მივეცი, ქომაგის მხარდაჭერამ კი ყველაფერი დამავიწყა.

**— ირლანდიასთან და შვეიცარიასთან ჩატარებული მატჩებიც გავიხსენოთ, სადაც აღელვების ნიშანწყალიც კი არ შეგტყობია.**

— ზუსტად და დალაგებულად ვერც მე აგიხსნით. რუსებთან სანახევრო თამაშის შემდეგ ყველა კომპლექსი ერთდროულად გაქრა. ბოლო ორ მატჩში თავდაჯერება მომემატა. არც მაშინ მიფიქრია შიშზე, როცა ირლანდიამ ჯერ ერთი, მერე მეორე გოლი გაიტანა.

იცით, ახლა იმაზე მწყდება გული, ის დარტყმები რომ ვერ მოვიგერიე. პირველ გოლზე მეტოქის ძლიერად გასროლილი და ძელიდან კარში მიმავალი ბურთი კი უკუვაგდე, მაგრამ მცველს უკან გამოვარდნილმა დაფმა ზუსტად დაარტყა. პირველად ნახტომი რომ არ დამჭირვებოდა, იქნებ ბურთს კიდევ შევწვდომოდი. მეორე გოლზე კი თავად დაფი მოიქცა ალოგიკურად. ადრე, რაც ვიდეოჩანაწერებში მიხილავს და ჩვენთან თამაშშიც ვაკვირდებოდი, როგორც კი მომენტი მიეცემოდა, პირდაპირ კარში ურტყამდა. როცა ირლანდიელებმა ბურთი საჯარიმოში ჩაკიდეს და დასარტყმელ პოზიციაზე დაფი დავლანდე, მეც დასახვედრად გავემზადე. მან კი მოულოდნელად თავით თანაგუნდელს დაუგდო ბურთი. გარისკვა არ ღირდა, ვიცოდი, დოჰერტის ვერ დავასწრებდი, ის კი უშეცდომო აღმოჩნდა.

შვეიცარიასთან, ფაქტობრივად, სამუშაოც აღარ მქონია. ერთი შორეული დარტყმა, ერთი თავური, რომელიც ზუსტი პოზიციის წყალობით ხელებში მომივიდა და ერთიც დასწრებაზე თამაში. მე ირლანდიასთან უფრო გამიჭირდა, თორემ შვეიცარიასთან სანერვიულოც არაფერი იყო.

**— დღეს ბევრ ვერსიას მოისმენ, რამ მიიყვანა ნაკრები ირლანდიურ ფიასკომდე. ამბობენ, ბაზაზე ფეხბურთელებმა იჩხუბესო, თანაც მწვრთნელის და ვეტერანების გუნდიდან წასვლაც ეჭვებს აძლიერებს. შეკრებაზე მართლაც ასეთი დაძაბულობა შეიმჩნეოდა?**

— არანაირი ჩხუბი და უთანხმოება არ ყოფილა. ირლანდიასთან დიდიანპატარიანად ყველას მოგება სურდა. მონდომებით ვემზადებოდით, მაგრამ მარცხმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქეცბაიამ და ჯამარაულმა მოულოდნელად ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტეს, მწვრთნელებიც გადადგომაზე ალაპარაკდნენ და ამან კიდევ უფრო დაგვრთგუნა, თორემ სხვა მხრივ უჩვეულოც არაფერი მომხდარა.

**— შენი აზრით, რამ მიიყვანა ნაკრები მორიგ წარუმატებლობამდე?**

— ამ კითხვაზე პასუხს დღემდე ვერ ვპოულობ. თითქოს შეთამაშებული გუნდი გვყავდა, არც შემართება გვაკლდა და მწვრთნელებიც გვამხნევებდნენ, მაგრამ რაღაც მაინც დაგვაკლდა. სწორედ ის „რაღაც" არის კარგად გამოსაჩხრეკი, თორემ მომავალშიც იგივე გამეორდება.

**— შვეიცარიასთან ნამატჩევს გადამდგარმა ჩივაძემ რა გითხრათ?**

— ყველას მადლობა გადაგვიხადა თანადგომისთვის. ძველებურად იშრომეთ და იბრძოლეთო გვითხრა.

**— როგორც ნაკრების წევრი, როგორ ფიქრობ, ეროვნული გუნდის უკეთესი მომავლისთვის მწვრთნელად ქართველის დანიშვნა აჯობებს თუ უცხოელის მოწვევაა უპრიანი?**

— მე უცხოელის კანდიდატურას დავუჭერდი მხარს, არა გამოუცდელ და დამწყებ სპეციალისტს, არამედ მცოდნე და საქმის საკეთებლად მოყვანილ მწვრთნელს. ფაქტია, ისინი უკეთ ერკვევიან თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკურ ნახაზებში. ევროპელი იქნება თუ სხვა, მაინც დღევანდელ მოთხოვნებს არის აყოლილი და ასეთი ხალხი სიკეთესაც მოგვიტანს.

**— ირლანდიელი გივენი და შვეიცარიელი ცუბერბიულერი. ორივემ შენს თვალწინ ითამაშა. უპირატესობას რომელს მიანიჭებდი?**

— ერთზე შევთანხმდეთ, ორივე მაღალი კლასის მეკარეა. თბილისში ცუბერბიულერი ბრწყინავდა, მან გუნდი ორჯერ გადაარჩინა, მაგრამ გივენი მაინც უკეთესი მეკარე მგონია. მართალია, „ლოკომოტივზე" ერთი დაურტყა კობიაშვილმა და ისიც გაუშვა, მაგრამ მისი გამოცდილება და კლასი მაინც ორმაგად ფასობს.

**— მსოფლიოში საუკეთესო მეკარეები რომელ ნაკრებს ჰყავს?**

— სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე იტალიელების გამორჩეულობას ვემხრობი. სხარტი, მოქნილი მეკარეებიდან ბუფონს ვერავინ შეედრება, ათლეტურებიდან ტოლდო მგონია საუკეთესო. კი, ჩინებულია კანი, კარგია ბარტეზი, საიმედოა ვესტერფელდი, მაგრამ ბუფონი და ტოლდო პირველები არიან.

**— იქნებ დროა, კარიერა უცხოურ კლუბში გააგრძელოთ?**

— ჩამთავრდება მეთოთხმეტე ჩემპიონატი და ვეცდები, ჩემი გზა-კვალი ევროპაშიც ვიპოვო. თითქოს აქამდეც იყო რაღაც ლაპარაკი, მაგრამ ჯერჯერობით სერიოზული შემოთავაზება არ მქონია. მე ყველგან წავალ, მთავარია, ნორმალური საფეხბურთო ქვეყნის უმაღლესი ლიგის კლუბში მოვეწყო.

**მამუკა ძგანტალიანი**



# რა უგულოა გულის ტკივილი

## შემოვიდა მატარებელი პერუ-ვაკე

### თბილისური „ლოკომოტივი"

პერუელმა ლეგიონერმა რაფაელ გალიარდომ დატოვა და შინ დაბრუნდა. სამხრეთამერიკელ ნახევარმცველს თბილისში პრობლემები არ ჰქონია. გულღია და ალალმა 26 წლის უცხოტომელმა რამდენიმე თვეში საყველპურო ქართულიც აითვისა და უახლოეს ხანს აქედან აბარგებასაც არ აპირებდა, მაგრამ „რაფიკას", როგორც თანაგუნდელები ეძახდნენ, ჯანმრთელობამ უმტყუნა.

გალიარდო ბოლო დროს მართლაც ვერ გამოიყურებოდა ყინჩად და კლუბმა ექიმებს გაასინჯა. ჩვენებურ დასტაქართა დიაგნოზი მომაკვდინებელი იყო მოქმედი ფეხბურთელისთვის. „რაფიკას" გულის დაავადება აწუხებს, დატვირთვები საშიშია მისი სიცოცხლისთვის. გალიარდო პერუში გაფრინდა, იქაურ ექიმებსაც მიაკითხა, თუმც საიმედო დიაგნოზი ვერც იმათგან მოისმინა, თუ სიცოცხლე ჩირადაც არ გიღირს, ითამაშეო.

„რაფიკა" უკვე ყოფილ თანაგუნდელებს პერუდანაც შეეხმიანა, მორჩა ჩემი ფეხბურთიო და ყველას სიკეთეც უსურვა. ასე წავიდა ქართული ფეხბურთიდან მხიარული ზანგის ბიჭი.

„ლოკომოტივის" მწვრთნელმა ცენტრალური ნახევარმცველი რომ მოისაკლისა, მაშინვე შემცვლელის ძებნა დაიწყო და სამშობლოში მიაკვლია კიდეც. ლუის ცაკარიასმა პერუდან ნახევარმცველი და თავდამსხმელი ჩამოიყვანა და სადღეისოდ „ლოკომოტივში" ორი პერუელი ვარჯიშობს, ოღონდ ორივე ფეთრი.

21 წლის რაიან სალასარი ლიმას „ალიანსას" ფეხბურთელია, რომელიც ცაკარიასმა პერუდან იჯარის წესით ჩამოიყვანა. ცაცია გამთამაშებელი რკინიგზული გუნდის გრაცხადში, სავარაუდოდ, ამ დღეებში მოხვდება და არ არის გამორიცხული, კვირას „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო მატჩშიც ითამაშოს.

მეორე ახალწვეული 18 წლის ფორვარდი დიეგო ნავალტე გახლავთ, რომელსაც გერმანული რეგიონალლიგის „ვაკერ 90"-ში, ცაკარიასის თანაშემწე ზაზა დადუნაშვილის მხარდამხარ უთამაშია. დიეგოს გარკვეული სამომავლო ამბავია. ის ცაკარიასის მეთვალყურეობით ივარჯიშებს და პერუელიც მერე იტყვის გადამწყვეტ სიტყვას.

**მამუკა ძგანტალიანი**




რაფაელ გალიარდო „ლოკომოტივს" კი არა, ფეხბურთს დაემშვიდობა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ჩვენი ჯგუფი

# ბრიგელმა არწივებს ნადირობა ასწავლა

## ირლანდიამ ალბანეთში ქულით გაიხარა



რომ არა შეი გივენი, ირლანდია უქულოდ დარჩებოდა

**ალბანეთი 0:0 ირლანდია**

**ალბანეთი:** სტრაკოშა, ბექირი, ჩიპი, ალიაი, ლალა, კ. დურო, ბ. ჰასი, შკელა (ბუში 85), მურატი (ბელაი 66), ტარე, რაკლი (მურტაი 69)

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

**ირლანდია:** გივენი, კარი, კანინგემი, ბრინი, ოში, კარსლი, კინსელა, ჰოლანდი, კილბეინი, კინი (დოჰერტი 66), დაფი

მწვრთნელი: ბრაიან კერი

გაფრთხილება: ბუში

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

20 000 მაყურებელი

**ცოტა შორიდან** დავიწყოთ... შარშან ვოლგოგრადში რუსებთან გაბითურებულ ალბანელებს ახალი მწვრთნელი დასჭირდათ. იქაური ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტმა სიბრძნე გამოიჩინა — ნაკრები ლეგიონერების კისერზეა, ამათ კი შესაბამის საფეხბურთო ენაზე მოლაპარაკე კაცი სჭირდებათ, წყალი არ გაუვა, უცხოელი მწვრთნელი გვინდაო. გაიკითხ-გამოიკითხეს ალბანელებმა და კარლ-ჰაინც ბრიგელზე შეაჩერეს არჩევანი. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი დიდად არ მოხიბლულა ამ წინადადებით, მაგრამ ალბანელებმა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს და მონდომების წყალობით ბრიგელი ტირანაში ჩაიყვანეს. გარჯაც დაუფასდა იქაურ ფედერაციას — შავი „არწივების" წლევანდელი შედეგი მართლაც შთამბეჭდავია — 4 ქულა ორ მატჩში, თანაც ვისთან? რუსეთთან და ირლანდიასთან.

გუშინწინდელ ტირანულ მატჩში ჩვენს გამბითურებელ ირლანდიასთან ბრიგელის ბიჭებს უნდა მოეგოთ, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს ორი გოლი არ ჩაუთვალეს. ორივე შემთხვევაში თამაშგარე დააფიქსირეს გვერდითებმა და, როგორც ამბობენ, სამართლიანად. თუმც დოჰერტის გოლისას თითქმის თბილისური სიტუაცია შექმნილა, მაგრამ, ქართველთაგან განსხვავებით, ალბანელ მცველებს ერთი ნაბიჯით მოუტოვებიათ ირლანდიელი შემტევი და მისი თავური გოლიც ბათილად ჩათვლილა.

მასპინძლებმა გუშინწინ თავიდანვე შეავიწროვეს მეტოქე. მოვლენებს დავასწროთ და ვთქვათ, რომ მატჩის გმირი შეი გივენი იყო. სწორედ მისმა ოსტატობამ მოუპოვა „მწვანეებს" ქულა. გივენს მეორე წუთზევე მოუხდა საფეხბურთო გმირობის ჩადენა, როცა მცველებმოტოვებულ ედვინ მურატის არ გაატანინა — 20 ათასიანი აუდიტორიის ღრიალში ალბანელმა თითქმის ყველაფერი გააკეთა გასატანად, მაგრამ ლარივით გაჭიმულ მეკარეს ვერაფერი მოუხერხა. მალე ფოტო სტრაკოშაც ჩაება თამაშში. ამ უბერებელმა ალბანელმა მეკარემ კილბეინს აუღო თავური. დარჩენილი საპირველტაიმო დრო კი მასპინძლებისა იყო. ბრიგელის გუნდი მწყობრად, გააზრებულად უტევდა. შემტევ იგლი ტარეს და ალტინ რაკლის ნახევარმცველები პასებს არ უგვიანებდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში საჯარიმოში შემძვრალ რაკლის კლოდიან დურომ თავზე დაასვა ბურთი, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ გივენმა გადაწითლებული ტრიბუნები დაადუმა.

მეორე ტაიმი დემიენ დაფის სახიფათო მომენტით დაიწყო, მაგრამ სტრაკოშამ უპრობლემოდ შეძლო წითური ირლანდიელის გაწბილება. მალე რობი კინს ჰქონდა თავის გამოჩენის ერთადერთი შანსი, დაფის კროსს მოყოლილ პასს ეფექტურად დაუხვედრა თავი. სტრაკოშა უძლური იყო ამ ეპიზოდში, მაგრამ ალბანელთა ბედად მცირედ ასცდა ბურთი კარს.

კინზე ის ვთქვათ, რომ ტირანულ მატჩში ვერ იტვირთა ლიდერის ფუნქციები, მგლოვიარე შემტევი მე-60 წუთზე ფეხმა შეაწუხა და მალე ბრაიან კერმა მის ნაცვლად თბილისურ გამოცდაჩაბარებული დოჰერტი ჩართო თამაშში. ამან კი ერთადერთი, რაც მოახერხა, თამაშგარედან გატანილი ის გოლი იყო, ზემოთ რომ ვთქვით.

ირლანდიელ ფეხბურთელებზე სათქმელი ამით მოვილიოთ და ყოჩაღ ალბანელებს მივუბრუნდეთ, ლამის ფრთები რომ გამოისხეს მეორე ტაიმში. მასპინძლებს დიდი სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ და არაერთი საგოლე შანსი ვერ გამოიყენეს. განსაკუთრებით მწვავე ორი ეპიზოდი იყო, როდესაც აშკარა გოლს გადაურჩა კერის გუნდი. ჯერ ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ბრეშელმა იგლი ტარემ სანტიმეტრებით ააცილა ოთხიოდე მეტრიდან გივენის კარს, 70-ე წუთზე კი ალტინ რაკლიმ დააქუხა 25 მეტრიდან და გივენმა „მკვდარი ბურთის" მოგერიება შეძლო.



კევინ კილბეინის თავურმა მოლდოველთა კარს ვერ უწია

რუსეთმონელებული ბრიგელის დანაპირები ძალაშია — ალბანეთი მეორე ადგილისთვის იბძვის და ოთხი ტურის შემდეგ საამისოდ არცთუ ცუდი შანსი აქვს. მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო ბრაიან კერი — ორი წაგების შემდეგ ორ ურთულეს შეხვედრაში 4 ქულა მოვიპოვეთ, პორტუგალიაში მოხვედრის შანსიც გავიჩინეთ და თუ ასე თავგამოდებით ვიბრძოლებთ, მიზანსაც მივაღწევთო. მოკლედ, ირლანდიასაც შანსი აქვს, ცხადია, საბრძოლიც. იბრძოლებენ ფავორიტები — შვეიცარია და რუსეთიც — ის, რომ მოტივაცია აქვთ, თქმა არ უნდა. ვაი, რომ თეორიულ-პრაქტიკული შანსი საქართველოს ნაკრებსაც აქვს. საკითხავი ისაა, ჩვენს მაგივრად ვინ იბრძოლებს...

**ბაატა ძგანტალიანი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ირლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

## I ჯგუფი

# გულო, შავგულო დაბმულხარ მომჩილოც წასულა

**ისრაელი 1:2 საფრანგეთი**

1:0 აფეკი (2), 1:1 ტრეზეგე (23), 1:2 ზიდანი (45)

**ისრაელი:** აუატე, ჰარაზი, ბანადო, ბენ ჰაიმი, აფეკი, კეისი, ბანინი (ბენაიუნი 75), რევივო, აბუკასისი, ტორმანი (სანდბერგი 46), ტალი (ბადეერი 56)

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტურამი, გალასი, სილვესტრი, ლიზარაზუ, მაკელელე, ვიეირა, ზიდანი, ვილტორდი (გოვუ 67), ანრი, ტრეზეგე (სისე 74)

3 000 მაყურებელი

**ისრაელმა** საფრანგეთს, გასაგებ მიზეზთა გამო, პალერმოში უმასპინძლა და დამარცხდა. ამთავითვე უნდა ითქვას — შეხვედრა ულიმლამოდ ჩატარდა და უფრო ვარჯიშს ჰგავდა, ვიდრე ოფიციალურ მატჩს. გოლები პირველ ტაიმში გავიდა. ანგარიში ფსევდომასპინძლებმა გახსნეს, გოლი ომრი აფეკმა შეაგდო, მაგრამ დავიდ ტრეზეგემ და ზინედინ ზიდანმა ორით უპასუხეს. ახლა, ევროპის ჩემპიონებს 15 შესაძლებლობიდან 15 ქულა აქვთ და დარჩენილ მატჩებში ერთიც რომ მოიპოვონ, ევრო 2004-ზე არიან.

„უნაპერწკლოდ ვითამაშეთ. კიდევ უარესადაც შეიძლებოდა ამის თქმა. რაც მთავარია, მიზეზი ვერ გამიგია. გპირდებით, ამ შეხვედრას ფეხბურთელებთან ერთად დავუბრუნდები და განვიხილავ. თვის ბოლოს კიდევ ერთი მატჩი გველის და, ვინაიდან, ოფიციალურად ევროპის პირველობაზე ჯერ არ გავსულვართ, რომ არხეინობის არ არის — განრისხებული ჩანდა გამარჯვებულთა მწვრთნელი ჟაკ სანტინი — ვფიქრობ, უგულოდ თამაში გადაღლით არ იყო განპირობებული. მოსამზადებლად საკმარისად გვქონდა დრო".

ისრაელის ნაკრების მწვრთნელი აბრაამ გრანტი: „მე ვერ ვნახე დიდი საფრანგეთი და პატარა ისრაელი. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ბიჭებით ვამაყობ. ვიმეორებ, გუნდებს შორის დიდი სხვაობა არ ყოფილა".



REUTERS

მიკაელ სილვესტრის (№13) და ფრანგებს ებრაელებთან ძალიან გაუჭირდათ

**სლოვენია 4:1 კვიპროსი**

1:0 შილიაკი (5), 1:1 კონსტანტინუ (10), 2:1 შილიაკი (14), 3:1 ზაჰოვიჩი (39პ), 4:1 ჩეჰი (43)

5 000 მაყურებელი

**სლოვენიელებმა** ლუბლიანაში კვიპროსელები დაჩაგრეს ერმინ შილიაკის წყვილმა გოლმა სტუმრები მალევე მოაშთო, ტაიმის ბოლომდე კი მასპინძლებმა ნიკოს პანაიოტეს კიდევ ორჯერ გაუტანეს და კუნძულელთა რბევა დაასრულეს.

მატჩის შემდეგ კვიპროსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მომჩილო ვუკოტიჩმა პოსტი დატოვა. „გუნდისგან სულს სხვა თამაშს და შემართებას ველოდი, ახლა კი იმედგაცრუებული ვარ. ბიჭებთან პრეტენზიები არ მაქვს, მასპინძლებმა მალევე დაგვაშამათეს და გონს ველარ მოვეგეთ. მე ერთი წელიწადი ვიმუშავე კვიპროსში და შედეგს ვერ მივაღწიე. ამიტომაც მივდივარ" — თქვა მომჩილო ვუკოტიჩმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 19:2 | 15 |
| სლოვენია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:17 | 0 |

*30 აპრილი: ისრაელი — კვიპროსი; მალტა — სლოვენია*

## II ჯგუფი

# ჩემი ბრალია

**დანია 0:2 ბოსნია**

0:1 ბარბარესი (23), 0:2 ბალიჩი (29)

**დანია:** სორენსენი, მიკაელსენი, ჰენრიკსენი, ალბერტსენი, ნ. იენსენი (ფრანდსენი 81), კ. იენსენი (ვეიჰორსტი 60), გრავესენი, რომედალი, ტომასონი (ბერგი 85), იორგენსენი, სანდი

**ბოსნია:** ჰასაგიჩი, ბერბეროვიჩი, მუზიჩი, კონიჩი, ბაირამოვიჩი, ჰიბიჩი, ბესლიჯა (მულინა 84), ბისკუვიჩი, ბარბარესი, ჰრგოვიჩი (გრუიჩი 67), ბალიჩი (ბლატნიაკი 77)

30 845 მაყურებელი

**ლუქსემბურგი 0:2 ნორვეგია**

0:1 რუშფელდტი (60), 0:2 სოლსკიაერი (74)

3 000 მაყურებელი



REUTERS

ბოსნიელმა ბალიჩმა დანია პირდაღებული დატოვა

**„ფიასკო"**, „საშინელება", ამდაგვარი სათაურებით იყო აჭრელებული დანიური გაზეთები ბოსნიასთან მარცხის შემდეგ. გასულ შაბათს, ბუქარესტში რუმინეთის დამქცევმა „ვიკინგებმა" შინ ბოსნიასთან წააგეს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ბოლო 19 შესარჩევ მატჩში დანიელები სამშობლოში არ დამარცხებულან.

„ამაზრზენი პირველი ტაიმის კვალობაზე მეორე უარესი გამოდგა. გუნდი გუნდს არ ჰგავდა. ნახევარდაცვა მოშლილი იყო, მცველები მეტოქეს საჯარიმოში შენავარდების უფლებას აძლევდნენ, თავდამსხმელებს კი ხეირიანი არაფერი შეუქმნიათ" — ასე შეაფასა ნაკრების თამაში ერთ-ერთმა გაზეთმა. ისიც გაიხსენეს, რომ 1998-ში კოპენჰაგენში უელსთან მარცხის შემდეგ „ვიკინგებს" ასე უსუსურად არ უთამაშიათ.

ბოსნიასთან წაგება ტერორისტული აქტი არაა, მაგრამ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა აიღო. „ჩემს შეცდომას ვაღიარებ. შემადგენლობის შერჩევისას აშკარად შევცდე" — თქვა მან. ბუქარესტიდან შინ დაბრუნებულმა მწვრთნელმა ოთხი ფეხბურთელი შეცვალა. რიტერის, მარტინ ლაურსენის, კრისტიან პოულსენისა და ლოვენკრანდსის ნაცვლად თავიდანვე მიკაელსენი, ალბერტსენი, კრისტიან იენსენი და იორგენსენი ათამაშა. ოლსენის თქმით, დაცვაში მისმა ფეხბურთელმა ბავშვური შეცდომები დაუშვეს.

ეტყობა, რუმინელთა ძლევამ მასპინძლებს ცუდი სამსახური გაუწია და იფიქრეს, ბოსნიას ადვილად გავუსწორდებითო. პირიქით კი მოხდა. ექვსწუთიან მონაკვეთში, სანამ „ვიკინგებს" ეძინათ, სერგი ბარბარესმა და ბალიჩმა წყვილი გოლი გაუტანეს და დანიელთა მცდელობის მიუხედავად, სტუმრებმა კოპენჰაგენიდან მაინც სამი ქულა წაიღეს.

ცხრილში ლიდერის წაფორხილებით ნორვეგიამ ისარგებლა. მათ ლუქსემბურგელები დაახლოებით ერთ საათს გაუძალიანდნენ და მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელში გატყდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:6 | 6 |
| ბოსნია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:13 | 0 |

*7 ივნისი: დანია — ნორვეგია; რუმინეთი — ბოსნია*

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## III ჯგუფი

# მოლდოვამ ვერ გამოაცხო

## ჩეხებმა მეზობლები დაბუგეს

**მოლდოვა 1:2 ჰოლანდია**

**1:0 ბორეტი (16), 1:1 ვან ნისტელროი (37), 1:2 ვან ბომელი (84)**
**მოლდოვა: ხმარუკი, კოვალენკო, ოლექსიკი, ტესტიმიტანუ, კატინსუსი, პრიგანიუკი, კოვალჩუკი (ბერკო 79), ივანოვი, ბორეტი, ჩებოტარი (პოგრებანი 88), კლეშჩენკო (გოლბანი 63)**
**ჰოლანდია: ვატერეუსი, რაიციგერი, სტამი (რიკსენი 63), ფ. დე ბური, ვან ბომელი, დავიდსი, ზეედორფი (რ. დე ბური 65), ვან დერ ვაარტი (ვან ჰოიდონკი 74), ვან ნისტელროი, კლუივერტი, ზენდენი**
**13 000 მაყურებელი**

გასულ შაბათს როტერდამში დაზავებულმა ჰოლანდიამ და ჩეხეთმა გუშინწინ სამ-სამი ქულა მიითვალეს. „ნარინჯისფერებმა" მოლდოვას გაჭირვებით სძლიეს, ჩეხებმა კი მეზობელი ავსტრიელები გააცამტვერეს.

ტირასპოლში მასპინძლები ჰოლანდიელებს მეღგრად დაუხვდნენ. მოლდოველ ქომაგებს სიხარული მალე და მოულოდნელად ეწვიათ. სრულიად უწყინარი ვითარებაში ვადიმ ბორეცმა მარჯვენა ფლანგიდან ბურთი მიიღო და მიწაზე დაუშვებლად ისეთი ამოსცხო, რომ რონალდ ვატერეუსი არც განძრეულა. გატანილი გოლით დამხვდურებმა კი გაილაღეს, მაგრამ „ნარინჯისფერმა" კლასმა თავისი მაინც მოინადირა. ტაიმის დასრულებამდე რვა წუთით ადრე რუუდ ვან ნისტელროიმ ბუდევინ ზენდენის პასი გოლად აქცია.

შესვენების შემდეგ მოლდოველი მცველები ალექსანდრ კოვალენკოსა და ვალერი კატინსუსის გამართული თამაშის წყალობით მატჩს ფრისკენ მიაგორებდნენ. ჰოლანდიელებმა საიდან არ უარეს მასპინძელთა კარის მისადგომებს. ევგენი ხმარუკმა ბურთი რამდენჯერმე კარის ხაზიდანაც გამოაძრო, მაგრამ მარკ ვან ბომელის დარტყმულს ვერ მისწვდა და სტუმრებმა სამი ქულა მაინც გაიყოლეს.



იან კოლერმა ავსტრიის ორჯერ გაუტანა

**ჩეხეთი 4:0 ავსტრია**

**1:0 ნედვედი (19), 2:0 კოლერი (32), 3:0 იანკულოვსკი (56პ), 4:0 კოლერი (62)**
**გაძევება: კოვაჩევიჩი (ავსტრია, 56)**
**17 150 მაყურებელი**

**ჩეხებმა** ავსტრიელები პირველივე ტაიმში მოახრჩვეს, თუმცა დასაწყისში პეტერ ჩეხსაც გვარიანი ჯაფა დაადგა. მარიო ჰაასსა და მარკუს შოპს გატანა მართებდათ, მაგრამ ერთხელ მეკარემ იყოჩაღა, მეორედ ბურთს მცველი გადაელობა. ამ მომენტიდან ორიოდ წუთში კარელ პობორსკიმ პაველ ნედვედი ტომას მანდლს პირისპირ შეახვედრა და იუვენტუსელმაც ანგარიში გახსნა. ტაიმის ბოლომდე დორტმუნდის „ბორუსიას" გიგანტმა იან კოლერმაც იხეირა და სხვაობა გაზარდა.

მეორე ნახევარში შეცვლაზე სამი წუთის შესულმა კოვაჩევიჩმა მილან ბაროში საჯარიმოში დასცა და თერთმეტმეტრიანი აიკიდა. მარეკ იანკულოვსკიმ პენალტის ნიშნულიდან ზუსტად დაჰკრა, მალე კი იან კოლერმა თავისი მეორე გაიტანა და ავსტრიელები საბოლოოდ დაზაფრა.

„მილან ბაროში ჰოლანდიასთან მატჩში კარგად ჩაერთო და ამიტომაც ძირითად შემადგენლობაში გავამწესე. ვფიქრობ, გულშემატკივრებმა ნაკრების თამაშით და ბევრი გოლით ისიამოვნეს, მაგრამ ჩემთვის სამი ქულაა მთავარი" — თქვა მატჩის შემდეგ კარელ ბრუკნერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ავსტრია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | 0 |

*7 ივნისი: მოლდოვა — ავსტრია; ბელარუსი — ჰოლანდია*

## IV ჯგუფი

**უნგრეთი 1:2 შვედეთი**

**0:1 ოლბოკი (34), 1:1 ლისტეში (65), 1:2 ოლბოკი (67)**

**პოლონეთი 5:0 სან მარინო**

**1:0 სჟიმოვიაკი (3), 2:0 კოსოვსკი (27), 3:0 კუჟბა (55), 4:0 კარვანი (81), 5:0 კუჟბა (90)**
**8 500 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:1 | 7 |
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 0:11 | 0 |

*30 აპრილი: ლატვია — სან მარინო*

## V ჯგუფი

# ძალიან, ძალიან იღბლიანი





ბერტი ფოგტსი ლიტველებმა კაუნასიდან უქულოდ და შერცხვენილი გაისტუმრეს

**ლიტვა 1:0 შოტლანდია**

**1:0 რაჟანაუსკასი (76პ)**
**ლიტვა: სტაუჩე, შემბერასი, დედურა, ბარასა, პეტრენკო (მაცულევიჩუსი 72), უვირგუდაუსკასი, მორინასი, მიკალაიუნასი (ჟიაუკტასი 89), იანკაუსკასი (ფომენკა 66), რაჟანაუსკასი, გლევეკასი**
**შოტლანდია: გალაჰერი, ალექსანდერი, უილკი, დეილი, პრესლი, მაკნამარა (გემილი 81), კროუფორდი (დევლინი 57), ლამბერტი, მილერი, მათჩისონი, ნეისმიტი**
**8 000 მაყურებელი**

ტომას რაჟანაუსკასის გოლმა პატარა ბალტიისპირული ქვეყანა ქულებით შოტლანდიასა და გერმანიას გაუტოლა.

რაჟანაუსკასის გოლი სქოთთა საჯარიმოში საპენალტე წაქცევას მოჰყვა. ჯეკი მაკნამარამ შეცვლაზე შესული დარიუს მაცულევიჩუსი დასცა. მეკარე პოლ გალაჰერმა რაჟანაუსკასის კუთხე კი გამოუცნო და ბურთს თითებითაც წაეპოტინა, მაგრამ თავისიანთა გადარჩენა ვერ მოახერხა.

„ლიტველები ჩვენს შეცდომას ელოდნენ, სხვაგვარად თამაშს ვერ მოიგებდნენ და სამწუხაროდ, ჩვენ ეს შეცდომა დავუშვით" — ასე ახსნა წაგება სტუმართა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა, რითაც კენჭი მაკნამარას ბოსტანში ისროლა. „ლიტვა ძალიან, ძალიან, ძალიან იღბლიანი გუნდია" — დასძინა გერმანელმა.

მთლიანობაში თამაში უსახური გამოდგა. ერთი, რომ კაუნასის „დარიუსის და გირენასის" არენა წვიმას გვარიანად დაელბო, ამასთანავე ორივე გუნდი მეტწილად ძალისმიერი თამაშით ცდილობდა ფონს გასვლას.

„ჩვენ ამ თამაშს სრულ მზადყოფნაში შევხვდით — ამაყად თქვა მასპინძელთა თავკაცმა ილგიმანტას ლიუბანსკასმა — გერმანელებს დავპირდით, რომ შოტლანდიას დავამარცხებდით და საპირველადგილო ბრძოლაში დავეხმარებოდით. თავად კი მეორე ადგილს და პორტუგალიაში პლეი ოფით გასვლას ვუმიზნებთ. შესაძლოა, ვინმემ თქვას, ლიტვას ევროპის ჩემპიონატზე რა ესაქმებაო, მაგრამ დიდ მიზანს თუ არ დაისახავ, ვერაფერს მიაღწევ."

გოლის მერე შოტლანდია უკანმოუხედავად შეტევაში გადაერთო და ლიტველთა მეკარე გინტარას სტაუჩეს რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა, თუმცა ყველაფერი მასპინძელთა სასიკეთოდ დასრულდა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| შოტლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ლიტვა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

*7 ივნისი: შოტლანდია — გერმანია; ისლანდია — ფარერები*

## VI ჯგუფი

# ეჰ, ტრისტანჯან!

**ესპანეთი 3:0 სომხეთი**

**1:0 ტრისტანი (63), 2:0 ელგერა (69), 3:0 ხოაკინი (90)**
**ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, მარჩენა, რაულ ბრავო, ეჩებერია (ხოაკინი 42), ალბელდა, ხავი (ვისენტე 54), ვალერონი (ბარახა 63), რაული, ტრისტანი**
**სომხეთი: ბერეზოვსკი, მელიკიანი, დოკოიანი, ოვსეპიანი, ვარდანიანი, ხაჩატურიანი (მინასიანი 84), პეტროსიანი (მკრტჩიანი 81), ვოსკანიანი, სარქისიანი, ართავაზ კარამიანი, არმენ კარამიანი**
**14 000 მაყურებელი**

3:0 სულაც არ ნიშნავს, რომ ესპანეთმა სომხეთს იოლად მოუგო. სტუმრები ესპანელებს მთელი საათი თანაბრად ეთამაშნენ და მერელა დანებდნენ. ანგარიში დიეგო ტრისტანმა გახსნა, დისკვალიფიკაციამოხდილმა ივან ელგერამ გააორა, შეცვლაზე შესულმა ხოაკინმა კი მესამე წამატებულ წუთზე გაასამა. ამგვარად, პირველი წრის გასრულების მერე ესპანელები ოთხი ქულით უსწრებენ უკრაინელებს და ბერძნებს და, რა უნდა მოხდეს, გაისად მეზობელ პორტუგალიაში ვერ წავიდნენ.

როგორც მოგახსენეთ, ესპანეთს იოლად არ მოუგია. სომხები თავდაუზოგავად იბრძოდნენ და ცოტათი რომ გამართლებოდათ, ეგებ ანგარიში თავად გაეხსნათ. „სომხებმა ბლომად პრობლემები შეგვიქმნეს — აღიარა ნამატჩევს ესპანელთა მწვრთნელმა ინაკი საესმა — მაგრამ როგორც კი ტრისტანმა გაიტანა, მიხვდნენ, რომ თამაში წაგებული ჰქონდათ და დაგვნებდნენ".

სომხებს პირველად მერვე წუთზე მართებდათ გატანა, როცა არტურ პეტროსიანმა მასპინძელთა დაცვის ცენტრი გაარღვია, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა. ამასთანავე სომხები, რომლებმაც წინა შაბათს ბოლო სამ წელიწადში პირველი გამარჯვება მოიპოვეს, ნახევარდაცვაშიც უკეთესად ირჯებოდნენ.

სომხებს კი ვაქებთ, მაგრამ, ცხადია, არც მასპინძლები იყვნენ გულხელდაკრეფილები. რაული, ტრისტანი და ხოსება ეჩებერია მაღიმალ აწუხებდნენ რომან ბერეზოვსკის, მაგრამ მეკარე მეღგრად იდგა.

მეორე ტაიმში, გოლამდე, საპირველტაიმო თამაში გაგრძელდა. ბერეზოვსკიმ ტრისტანს, კასილიასმა კი კარამიანს აულეს ვერაგული დარტყმები.

მაგრამ როგორც ხშირად ხდება, უფრო მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა. შეცვლაზე შესულმა ვისენტემ ფლანგი გაარღვია და საჯარიმოს შუაგულში ჩააწოდა, სადაც ტრისტანი იყო ჩასაფრებული და კუთხეში აულებელი დაარტყა.

ნირწამხდარმა სომხებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ მეორე ბურთიც გაუშვეს. გოლი კუთხურს მოჰყვა. ივან ელგერამ ბურთს თავი დასცხო და მინდვრიდან ასხლეტით გაიტანა. ხოლო მესამე გოლისას, რომელიც რაულის პასს მოჰყვა, ხოაკინმა ბურთი ბერეზოვსკის თავზე გადაუგდო.

**გიორგი დარჯანია**

**ჩრდ. ირლანდია 0:2 საბერძნეთი**

**0:1, 0:2 ხარისტიასი (2, 55)**
**გაძევება: ქუინი (39), გილესპი (69) (ორივე ჩრდ. ირლანდია)**
| ალონსო -------- 30,0 | 4107 ------- 5,0 | 4207 ----- 1,7 | 30,0 |
| ტრული --------- 30,0 | 4108 ------- 5,0 | 4208 ----- 1,7 | 30,0 |
| ბატონი ---------- 75,0 | 4109 ------ 15,0 | 4209 ----- 3,0 | 100,0 |
| ფრენცენი ------ 75,0 | 4110 ------ 20,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი ---- 75,0 | 4111 ------ 20,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 |
| ვილნევი -------- 75,0 | 4112 ------ 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,4 |
| მაკლარენი | 3,0 |
| უილიამსი | 6,0 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 30,0 |
| ბარ | 30,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| ჯორდანი | 60,0 |
| იაგუარი | 75,0 |
| მინარდი | 100,0 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი

[illegible] სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | |
| 18.30 | 2509 | ლევერკუზენი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2510 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2511 | დორტმუნდი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2512 | ჰამბურგი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2513 | ნიურნბერგი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2514 | კოტბუსი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2515 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.00 | 2516 | ბოლტონი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2517 | მანჩესტერი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2518 | ასტონ ვილა-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2519 | ჩარლტონი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2520 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2521 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2522 | სანდერლენდი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2523 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2524 | იუვენტუსი-ტორინო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2525 | პარმა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2526 | რეალი-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2527 | ბეტისი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2528 | ვილიარეალი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2529 | ესპანიოლი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **6 აპრილი** | | | |
| 20.30 | 2530 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2531 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2532 | ევერტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2533 | ბრეშა-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2534 | კიევო-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2535 | ლაციო-კომო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2536 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2537 | პიაჩენცა-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2538 | რეჯინა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2539 | ინტერი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2540 | ვალიადოლიდი-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2541 | რასინგი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2542 | ალავესი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2543 | ბილბაო-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2544 | ოსასუნა-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2545 | დეპორტივო-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 24.00 | 2546 | ფულემი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | |
| 18.30 | 2409 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 2410 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2,6 | 1,5 |
| 18.30 | 2411 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2412 | ჰამბურგი-არმინია | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 2413 | ნიურნბერგი-შალკე | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 2414 | კოტბუსი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 18.30 | 2415 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,9 |
| 16.00 | 2416 | ბოლტონი-სიტი | 1,75 | 2,1 |
| 16.30 | 2417 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2418 | ასტონ ვილა-არსენალი | 2,5 | 1,55 |
| 19.00 | 2419 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2420 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 2421 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2422 | სანდერლენდი-ჩელსი | 2,6 | 1,5 |
| 19.00 | 2423 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,5 | 2,6 |
| 21.00 | 2424 | იუვენტუსი-ტორინო | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 2425 | პარმა-მილანი | 1,95 | 1,85 |
| 22.00 | 2426 | რეალი-რაიო | 1,1 | 5,0 |
| 23.30 | 2427 | ბეტისი-ვალენსია | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 2428 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,0 | 1,8 |
| 00.30 | 2429 | ესპანიოლი-სელტა | 1,85 | 1,95 |
| | | **6 აპრილი** | | |
| 20.30 | 2430 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,8 | 2,0 |
| 20.30 | 2431 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,55 | 2,5 |
| 20.00 | 2432 | ევერტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 2433 | ბრეშა-ატალანტა | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2434 | კიევო-უდინეზე | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2435 | ლაციო-კომო | 1,15 | 4,4 |
| 18.00 | 2436 | პერუჯა-ბოლონია | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2437 | პიაჩენცა-მოდენა | 1,8 | 2,0 |
| 18.00 | 2438 | რეჯინა-ემპოლი | 1,65 | 2,3 |
| 23.30 | 2439 | ინტერი-რომა | 1,55 | 2,5 |
| 20.00 | 2440 | ვალიადოლიდი-უელვა | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2441 | რასინგი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2442 | ალავესი-მალიორკა | 1,75 | 2,1 |
| 21.00 | 2443 | ბილბაო-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2444 | ოსასუნა-მალაგა | 1,75 | 2,1 |
| 23.30 | 2445 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,65 | 2,3 |
| | | **7 აპრილი** | | |
| 24.00 | 2446 | ფულემი-ბლექბერნი | 1,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | |
| 18.30 | 2209 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,95 | 1,6 |
| 18.30 | 2210 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2211 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2212 | ჰამბურგი-არმინია | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2213 | ნიურნბერგი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2214 | კოტბუსი-შტუტგარტი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2215 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 16.00 | 2216 | ბოლტონი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 16.30 | 2217 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2218 | ასტონ ვილა-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2219 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2220 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2221 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2222 | სანდერლენდი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2223 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2224 | იუვენტუსი-ტორინო | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2225 | პარმა-მილანი | 1,9 | 1,7 |
| 22.00 | 2226 | რეალი-რაიო | 2,3 | 1,45 |
| 23.30 | 2227 | ბეტისი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2228 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2229 | ესპანიოლი-სელტა | 1,8 | 1,8 |
| | | **6 აპრილი** | | |
| 20.30 | 2230 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2231 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 1,65 |
| 20.00 | 2232 | ევერტონი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2233 | ბრეშა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2234 | კიევო-უდინეზე | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2235 | ლაციო-კომო | 2,1 | 1,55 |
| 18.00 | 2236 | პერუჯა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2237 | პიაჩენცა-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2238 | რეჯინა-ემპოლი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2239 | ინტერი-რომა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2240 | ვალიადოლიდი-უელვა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2241 | რასინგი-სევილია | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2242 | ალავესი-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2243 | ბილბაო-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2244 | ოსასუნა-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2245 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| | | **7 აპრილი** | | |
| 24.00 | 2246 | ფულემი-ბლექბერნი | 1,85 | 1,75 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | |
| 18.30 | 2309 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2310 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2311 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2312 | ჰამბურგი-არმინია | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2313 | ნიურნბერგი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2314 | კოტბუსი-შტუტგარტი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2315 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 16.00 | 2316 | ბოლტონი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 16.30 | 2317 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2318 | ასტონ ვილა-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2319 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2320 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2321 | საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2322 | სანდერლენდი-ჩელსი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2323 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2324 | იუვენტუსი-ტორინო | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2325 | პარმა-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2326 | რეალი-რაიო | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2327 | ბეტისი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2328 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2329 | ესპანიოლი-სელტა | 1,75 | 1,85 |
| | | **6 აპრილი** | | |
| 20.30 | 2330 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2331 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2332 | ევერტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2333 | ბრეშა-ატალანტა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2334 | კიევო-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2335 | ლაციო-კომო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2336 | პერუჯა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2337 | პიაჩენცა-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2338 | რეჯინა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2339 | ინტერი-რომა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2340 | ვალიადოლიდი-უელვა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2341 | რასინგი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2342 | ალავესი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2343 | ბილბაო-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 2344 | ოსასუნა-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2345 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| | | **7 აპრილი** | | |
| 24.00 | 2346 | ფულემი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2109 | ლევერკუზენი-ჰერტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 2110 | ჰანოვერი-ბაიერნი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.30 | 2111 | დორტმუნდი-ვერდერი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2112 | ჰამბურგი-არმინია | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2113 | ნიურნბერგი-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 2114 | კოტბუსი-შტუტგარტი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 2115 | ბოხუმი-კ.ლაუტერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.00 | 2116 | ბოლტონი-სიტი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 16.30 | 2117 | მანჩესტერი-ლივერპ. | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 2118 | ასტონ ვილა-არსენალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 19.00 | 2119 | ჩარლტონი-ლიდსი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 2120 | მიდლსბრო-ვ.ბრომვიჩი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2121 | საუთჰემპტონი-ვ.ჰემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2122 | სანდერლენდი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 19.00 | 2123 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 21.00 | 2124 | იუვენტუსი-ტორინო | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 2125 | პარმა-მილანი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 22.00 | 2126 | რეალი-რაიო | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,4 | 6,5 | 25,0 | 40,0 | 25,0 | 25,0 |
| 23.30 | 2127 | ბეტისი-ვალენსია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.45 | 2128 | ვილიარ.-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 00.30 | 2129 | ესპანიოლი-სელტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2130 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 20.30 | 2131 | მიუნხენი-მ.გლადბახი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2132 | ევერტონი-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 2133 | ბრეშა-ატალანტა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2134 | კიევო-უდინეზე | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2135 | ლაციო-კომო | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 18.00 | 2136 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2137 | პიაჩენცა-მოდენა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 2138 | რეჯინა-ემპოლი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2139 | ინტერი-რომა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.00 | 2140 | ვალიადოლიდი-უელვა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.00 | 2141 | რასინგი-სევილია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 2142 | ალავესი-მალიორკა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 | 2143 | ბილბაო-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 2144 | ოსასუნა-მალაგა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.30 | 2145 | დეპორტივო-სოსიედადი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2146 | ფულემი-ბლექბერნი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

05.04 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXVII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 16.00 2602 ინგლისი პლ. (XXXII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 21.00 2603 იტალია "A" (XXVII ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
05.04 22.00 2604 ესპანეთი Iდ. (XXVIII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 20.15 2605 საფრანგეთი Iდ. (XXXII ტური) 22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
05.04 22.15 2606 პორტუგალია Iდ.(XXVII ტური)23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
05.04 22.30 2607 ჰოლანდია Iდ. (XXVI ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
05.04 18.30 2608 თურქეთი (XXVI ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# ჯაზი მოკვდა
## ახლა ორლეანში ბზუიან

— 2 აპრილი —

**დენვერი 75:83 ნიუ იორკი**

**დენვერი:** ჰარინგტონი (2), ვაიტი (14), ბოვარდი (20), ცქიტიშვილი (29 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ილარიო (9); კემბი (15), შ. უილიამსი, ჰარვი (6), იარბრო (2), ანდერსენი (3)

**ნიუ იორკი:** ეისლი (2), ჰიუსტონი (27), სპრიუელი (16), ვეზერსპუნი (3), ტომასი (13); ვორდი (6), ანდერსონი (2), ნაითი (10), დოლიკი (4)

**ბოსტონი 90:62 მაიამი**

**ბოსტონი:** პირსი (28), ბრემერი (9), უოლკერი (11), ე. უილიამსი (9), ბლუნტი (5); დელკი (10), ლონგი (2), ბრაუნი (2), ბათი (8), მაკარტი (2), კოულზი (4)

**მაიამი:** კარტერი (2), რ. ბატლერი (3), კ. ბატლერი (18), გრანტი (6), სტეფანია (30 წუთი, 10 ქულა, 11 მოხსნა); პაუსი (7), ლამპლი (3), ჯეიმსი (3), ელისი (8), ალენი (2), ბესტი, ჯონსონი

**ვაშინგტონი 99:105 საკრამენტო**

**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (27), ჯორდანი (17)

**საკრამენტო:** ვებერი (28), ბიბი (17)

**დეტროიტი 78:89 ტორონტო**

**დეტროიტი:** ბილაფსი (16), ჰამილტონი (16)

**ტორონტო:** კარტერი (18), ბრედლი (16)

**ნიუ ორლეანი 106:97 ნიუ ჯერსი**

**ნიუ ორლეანი:** მაშბერნი (24), ლინჩი (19)

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (24), კიტლზი (19)

**მილუოკი 106:99 ჰიუსტონი**

**მილუოკი:** კასელი (20), პეიტონი (18)

**ჰიუსტონი:** პოუზი (20), ფრენსისი (17)

**მინესოტა 91:86 სიეტლი**

**მინესოტა:** ჰადსონი (31), გარნეტი (20)

**სიეტლი:** ალენი (19), დრობნიაკი (16)

**მემფისი 87:105 სან ანტონიო**

**მემფისი:** რაიტი (24), ჯეფერსონი (14)

**სან ანტონიო:** დანკანი (33), როუზი (18)

**ფილადელფია 108:101 ჩიკაგო**

**ფილადელფია:** აივერსონი (24), ვან ჰორნი (20)

**ჩიკაგო:** უილიამსი (19), მარშალი (18)

**კლივლენდი 82:103 ინდიანა**

**კლივლენდი:** დევისი (27), ბუზერი (15)

**ინდიანა:** ჰარინგტონი (24), ბენდერი (21)

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორიოდ კვირა რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ 13 გუნდისთვის, რომლებიც პლეი ოფში ვერ მოხვდებიან, სეზონი მალე დამთავრდება. ახლა ზოგიერთი იღბლიან 16-ეულში შესაღწევად იბრძვის, ხოლო ბევრსაც, რა ხანია, დაუკარგავს მოტივაცია.

უიმედოდ არიან „ქართული" კლუბებიც — ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი" და ნიკა ცქიტიშვილის „დენვერი" ისევე უნიათოდ გამოიყურებიან, როგორც სეზონის დასაწყისში. ოთხშაბათს მათ მორიგი მატჩები წააგეს, რაც უფრო სამარცხვინოდ ფლორიდელებს „გამოუვიდათ".

მაიამელები ბოსტონს ესტუმრნენ და „კელტებს" მხოლოდ 62 ქულა ჩაუგდეს, სანაცვლოდ კი 90 მიიღეს. ასე უშედეგო გარჯა ფლორიდელთათვის არაა უცხო ხილი, პატ რაილის შეგირდებმა თებერვალში „დეტროიტსაც" 62 ქულა ჩაუგდეს. ამასთან ეს ვაი შედეგი 4-ით მეტია „დენვერის" მიერ დამყარებულ საამსეზონო ანტირეკორდზე.

მიუხედავად დიდსხვაობიანი წაგებისა, პატ რაილის აუგი ნამდვილად არ დასცდებოდა ქართველ ცენტრზე. სტეფანიამ მატჩი კვლავ ხუთეულში დაიწყო და ზედიზედ მეორედ შეასრულა ორმაგი დუბლი. ამჯერად ვოვამ 10 ქულას 11 მოხსნა დაურთო და ჩაუქ ახალბედა კერონ ბატლერთან ერთად მაიამელთაგან მხოლოდ მეორე კალათბურთელი შეიქნა, ვინაც ქულათა მონაგარი ორციფრა რიცხვით გამოხატა.

პატ რაილი გაცოფებული იყო — მისმა გუნდმა 22-ჯერ დაკარგა ბურთი. სტეფანია ამ საქმეშიც არ შერცხვენილა — „მაიამის" დამწყებთაგან ვოვამ ყველაზე ნაკლები, ერთადერთი ბურთი დაკარგა.

„მაიამისგან" განსხვავებით, „დენვერმა" მეტად იბრძოლა. ცქიტიშვილის გუნდი საპლეიოფო ხავსს ჩაჭიდებულ „ნიუ იორკს" მასპინძლობდა და ბოლო მეოთხედამდე უგებდა კიდეც, თუმც გადამწყვეტ მომენტში სტუმართა ლიდერი ალან ჰიუსტონი აფორიაქდა და ჯეფ ბზდელიკის გამარჯვების მოწადინე ბიჭბუჭობა დაამშვიდა.

ცქიტიშვილმა საკმაოდ ბევრი, 29 წუთი ითამაშა, მაგრამ ხეირიანი ბევრი ვერაფერი გააკეთა. დენვერელთაგან ყველაზე მონდომებული კი მარკუს კემბი გახლდათ, რომელიც სეზონის წინ სწორედ „ნიუ იორკიდან" შეემატა „ნაგიტსს". კემბი კარგა ხანს ტრავმიანობდა და, ფორმაში სეზონის დაისზეღა შესულა. ის ტოლ-სწორად ეპაექრა თავის ნიუიორკელ ძმაკაცს, თავზეხელაღებულ ლატრელ სპრიუელს და მასთან წაკამათებაც მოასწრო... ამ გამარჯვებით ნიუიორკელებმა პლეი ოფში თამაშის პაწაწა შანსი მაინც შეინარჩუნეს.

ვაშინგტონელთა საპლეიოფო ოცნებაც თანდათან უფერულდება. მაიკლ ჯორდანი გუშინწინ ამაოდ დაშვრა დასავლელ ბობოლა „საკრამენტოსთან" მატჩში. „ჩვენ ბოლომდე არ გაგვყვა თავიდანვე აღებული ინერცია. მეორე ტაიმი პირველზე გაცილებით უარესად ჩავატარეთ და დასანანი მარცხი ვიწვნიეთ" — ნაღვლობდა დაბერებული ჯორდანი.

გაიმარჯვა „ვაშინგტონის" მთავარმა კონკურენტმა „მილუოკიმ". „ხარირმებმა" საჩემპიონო ბატალიებში ჩაბმისთვის მებრძოლ დასავლელ „ჰიუსტონს" სძლიეს. ტეხასელთათვის ეს წაგება მე-4 გამოდგა უკანასკნელ ხუთ შეხვედრაში, რამაც მათი საუკეთესო რვეულში მოხვედრის იმედები ერთობ დანისლა.



მაიკლ ჯორდანს პლეი ოფში ვერმოხვედრას დაუმწუხრებია

„პლეი ოფზე ლაპარაკიც აღარ მინდა. მხოლოდ იმას ვნატრობ, როგორმე თამაშის მოგება მოვახერხოთ. პლეი ოფზე იმან უნდა იოცნებოს, ვისაც გამარჯვება შეუძლია, ჩვენ კი არ გამოგვდის ეს საქმე" — ბედთან შერიგებული წამგები მოთამაშის იერით ლაპარაკობდა ჰიუსტონელთა მეოლსტარე ლიდერი სტივ ფრენსისი.

გუშინწინ თუ ვინმე სადმე გაიხარებდა, პირველ რიგში ალბათ ნიუ ორლეანში. ამ ქალაქში შარშან დაბუდებულმა „კრაზანებმა" იქაურობა ბზუილით გაავსეს, ახალი ორლეანის მცხოვრებლებს პირველივე სეზონში საპლეიოფო საგზური აჩუქეს. შევნიშნოთ, რომ ახალ ორლეანში 1974-79 წლებში „ჯაზი" სახლობდა, თუმც ეს გუნდი რეგულარულ ჩემპიონატს არასდროს გასცდენია. „ჰორნეტსმა" კი, აგერ, „ნიუ ჯერსის" დამარცხებით პირველივე ცდაზე აზიარა ნიუორლეანელები პლეი ოფს.

**ირაკლი პერტაია**



ნიკა ცქიტიშვილი ნიუიორკელ კურტ ტომასს უფარებს

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 47 | 27 | 63,5 |
| ნიუ ჯერსი | 46 | 29 | 61,3 |
| ფილადელფია | 45 | 29 | 60,8 |
| ინდიანა | 44 | 31 | 58,7 |
| ნიუ ორლეანი | 42 | 34 | 55,3 |
| ბოსტონი | 41 | 34 | 54,7 |
| ორლანდო | 39 | 36 | 52,0 |
| მილუოკი | 37 | 39 | 48,7 |
| ვაშინგტონი | 34 | 40 | 45,9 |
| ნიუ იორკი | 33 | 42 | 44,0 |
| ატლანტა | 29 | 45 | 39,2 |
| ჩიკაგო | 26 | 50 | 34,2 |
| ტორონტო | 24 | 50 | 32,4 |
| მაიამი | 23 | 53 | 30,3 |
| კლივლენდი | 14 | 69 | 18,9 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 56 | 18 | 75,7 |
| საკრამენტო | 54 | 22 | 71,1 |
| სან ანტონიო | 55 | 20 | 73,3 |
| პორტლენდი | 46 | 27 | 63,0 |
| მინესოტა | 47 | 26 | 61,8 |
| იუტა | 44 | 30 | 59,5 |
| ლეიკერსი | 43 | 31 | 58,1 |
| ფინიქსი | 39 | 35 | 52,7 |
| ჰიუსტონი | 38 | 37 | 50,7 |
| სიეტლი | 36 | 38 | 48,6 |
| გოლდენ სტეიტი | 36 | 39 | 48,0 |
| მემფისი | 26 | 49 | 34,7 |
| კლიპერსი | 23 | 51 | 31,1 |
| დენვერი | 17 | 59 | 22,4 |

შრიფტით აღნიშნული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში



**NHL რეგულარული ჩემპიონატი**

# ასე როგორ გაგიშვა!
## ლემიე ანტირეკორდით წავა?!

— 2 აპრილი —

**ლოს ანჯელესი 5:3 კოლორადო**

*2:1 0:2 3:0*

0:1 ჰეიდუკი (2), 1:1 ბელანჟე (3), 2:1 არმსტრონგი (18), 2:2 სკოულა (30), 2:3 რაინპრეხტი (39), 3:3 ლაპერიე (42), 4:3 პალფი (47), 5:3 ბელანჟე (60)

**პიტსბურგი 3:2 კაროლინა**

*1:0 0:2 2:0*

1:0 მელოში (13), 1:1 ზიგომანისი (30, 1:2 მაკდონალდი (32), 2:2 ლინტნერი (57), 3:2 მელოში (60)

**ტამპა 2:1 მონრეალი** *1:1 1:0 0:0*

0:1 ბულისი (6), 1:1 პროსპალი (10), 2:1 სარიჩი (28)

**ბუფალო 4:3 ატლანტა** *0:2 0:1 4:0*

0:1 ბარტეჩკო (1), 0:2 ტრამბლე (12), 0:3 ჰიტლი (27), 1:3 კალინინი (47), 2:3 კოტალიკი (53), 3:3 ბრირი (59), 4:3 კონოლი (60)

**კოლუმბუსი 3:0 მინესოტა**

*3:0 0:0 0:0*

1:0 სილინჯერი (17), 2:0 სენდერსონი (19), 3:0 ნეში (20)

**დალასი 2:1 ანაჰაიმი** *0:0 0:1 2:0*

0:1 ოზოლინში (23), 1:1 არნოტი (45), 2:1 ჰეჩერი (49)

**კალგარი 2:2 სან ხოსე** *0:1 1:1 1:0 0:0*

0:1 მარლო (9), 1:1 ჟელინა (25), 1:2 სმიტი (38), 2:2 დრური (55)

**ფინიქსი 3:3 ვანკუვერი**

*1:1 0:2 2:0 0:0*

1:0 მარკოვი (11), 1:1 ლინდენი (15), 1:2 სალო (24), 1:3 ნესლუნდი (29), 2:3 მარა (49), 3:3 ნუმინენი (58)




ბრძოლა პლეი ოფში მოხვედრისთვის თითქმის დასრულდა. იღბლიანი გუნდები ახლა საპლეიოფო ადგილგადანაწილებით არიან დაკავებულები. მაგალითად, კოლორადოს სულაც არ ხიბლავს, პირველივე რაუნდში სენტ ლუისთან შეხვედრის პერსპექტივა. ამიტომაც დენვერელები ლამობენ, ვანკუვერს კონფერენციის მესამე ადგილზე ჩაენაცვლონ. ვანკუვერი მისსავე დივიზიონში ასპარეზობს, კოლორადოს კი 8 წელიწადია, დივიზიონის ტახტი არავისთვის დაუთმია.

თუმც ოთხშაბათს ლოს ანჯელესმა „ეველანშის" იმედი მოუკლა. საერთოდ, ორი წელია კოლორადო კალიფორნიელებს ძალიან აღიზიანებთ, რაკი სწორედ ამ გუნდში გადავიდა მათი სული და გული, მცველი რობ ბლეიკი. ამიტომაც ლოს ანჯელესი კოლორადოს გამორჩეული შემართებით ებრძვის და მაგრამ აწვალებს. ამ შეხვედრას მასპიძლებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ „მეფეებმა" დიდი თავგამოდებით ითმეს და ბოლო პერიოდში გატეხეს სტუმარი. მატჩი ერთობ შინაარსიანი და ემოციებით აღსავსე გამოდგა. ბოლო წამებზე ლამის სერიოზულ შეხლა-შემოხლამდე მივიდა საქმე. ერთ-ერთი მაყურებელი შეეცადა, უხამსი ჟესტებითა და შეძახილებით ბლეიკი მოთმინებიდან გამოეყვანა. ამ დროს კოლორადოელები საჩხუბრად შეიმართნენ, მაგრამ მერე კეთილგონიერებას მოუხმეს და ჩაწყნარდნენ. მხოლოდ ერთ-ერთმა მათგანმა ესროლა აბეზარ ქომაგს პლასტმასის ბოთლი.

ლოს ანჯელესის გამარჯვებამ ვანკუვერს დივიზიონში პირველობისკენ გზა გაუხსნა. ფინიქსთან შეხვედრის 58-ე წუთამდე ვანკუვერს საქმე კარგად მისდის, მაგრამ „კოიოტებმა" ბოლოს მაინც დაკბინეს სტუმარი და ერთი ქულა წაჰგლიჯეს.

ტამპას წარმატებაზეც ვთქვათ. „ელვებმა" მონრეალთან მოგების შემდეგ პრაქტიკულად გაინაღდეს დივიზიონში პირველობა, შესაბამისად მინიმუმ მესამე ადგილი კონფერენციაში და შედარებით იოლი მეტოქე პლეი ოფში. თუმც მხოლოდ ღმერთმა უწყის, რომელი გუნდი რა ფორმაში შეხვდება სათასო ჯახებს. ვინ იცის, ვაშინგტონი უფრო მოხერხებული მეტოქე იქნება ტამპასთვის, თუ სხვა რომელიმე გუნდი.

ამოცანები ამოცანებად, მაგრამ დღის მთავარი მოვლენა მაინც პიტსბურგისა და კაროლინას მატჩში მოხდა. ეს ეგებ დიდი მარიო ლემიეს ბოლო გამოსვლაც იყო ყინულზე. „თუ ეს ჩემი ბოლო მატჩია, მსურს, კარიერა პიტსბურგში, ჩვენი გუნდის ქომაგების თვალწინ დავასრულო. ეს სეზონი ძალიან მძიმე იყო ჩემთვისაც და კლუბისთვისაც" — თქვა მან ნაღვლიანად მატჩის შემდეგ. რა გვეთქმის, ლემიემ ეს მატჩი ღირსეულად ჩაატარა და ერთგვარად ესტაფეტა გადაულოცა ახალგაზრდა ერიკ მელოშს. დებიუტანტმა ორჯერ გაიტანა და ორჯერვე სუპერმარიოს დახმარებით. თანაც მეორე შაიბა მატჩის ბოლო წამებზე შეაგდო. სავალალო მხოლოდ ის არის, რომ თავად მარიომ ვერ გაიტანა, რითაც კარიერის მიწურულს ახალი პირადი ანტირეკორდი დაამყარა — 9 უგოლო თამაში. 16 000-მაყურებლიანი დარბაზი მაიბასთან ყოველი შეხების ამხნევებდა ბებერ ლომს და ამ შეძახილებში ნათლად იკვეთებოდა სამი სიტყვა: „კიდევ ერთი წელი"...

ისლა დაგვრჩენია, ამ წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი დავსვათ.

**სამველ ლარიბიანი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 80 | 50 | 8 | 1 | 21 | 255:180 | 109 |
| ნიუ ჯერსი | 79 | 45 | 8 | 6 | 20 | 211:162 | 104 |
| ტამპა | 80 | 36 | 16 | 5 | 23 | 216:200 | 93 |
| ფილადელფია | 80 | 43 | 13 | 4 | 20 | 201:163 | 103 |
| ტორონტო | 80 | 43 | 7 | 3 | 27 | 233:204 | 96 |
| ვაშინგტონი | 80 | 38 | 8 | 6 | 28 | 218:212 | 90 |
| ბოსტონი | 80 | 35 | 10 | 4 | 31 | 236:231 | 84 |
| აილენდერსი | 79 | 34 | 11 | 2 | 32 | 218:222 | 81 |
| რეინჯერსი | 80 | 32 | 10 | 4 | 34 | 205:224 | 78 |
| მონრეალი | 81 | 29 | 8 | 9 | 35 | 201:230 | 75 |
| ბუფალო | 80 | 27 | 9 | 8 | 36 | 183:209 | 71 |
| ატლანტა | 80 | 29 | 7 | 5 | 39 | 217:280 | 70 |
| ფლორიდა | 80 | 23 | 13 | 9 | 35 | 170:230 | 68 |
| პიტსბურგი | 81 | 27 | 6 | 5 | 43 | 186:250 | 65 |
| კაროლინა | 80 | 22 | 11 | 6 | 41 | 169:234 | 61 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 81 | 45 | 15 | 4 | 17 | 243:169 | 109 |
| დეტროიტი | 79 | 47 | 9 | 3 | 20 | 256:192 | 106 |
| ვანკუვერი | 81 | 45 | 13 | 1 | 22 | 264:206 | 104 |
| კოლორადო | 80 | 40 | 13 | 8 | 19 | 242:189 | 101 |
| სენტ ლუისი | 79 | 41 | 10 | 6 | 22 | 245:209 | 98 |
| ანაჰაიმი | 81 | 40 | 9 | 5 | 27 | 200:189 | 94 |
| მინესოტა | 80 | 41 | 10 | 1 | 28 | 193:173 | 93 |
| ედმონტონი | 80 | 36 | 10 | 9 | 25 | 227:223 | 91 |
| ლოს ანჯელესი | 80 | 32 | 6 | 5 | 37 | 200:219 | 75 |
| ფინიქსი | 80 | 30 | 10 | 5 | 35 | 200:227 | 75 |
| ჩიკაგო | 79 | 28 | 12 | 6 | 33 | 195:217 | 74 |
| ნეშვილი | 80 | 27 | 13 | 7 | 33 | 183:203 | 74 |
| სან ხოსე | 80 | 28 | 7 | 8 | 37 | 208:233 | 71 |
| კალგარი | 80 | 27 | 13 | 4 | 36 | 180:226 | 71 |
| კოლუმბუსი | 80 | 29 | 7 | 3 | 41 | 205:254 | 68 |

შრიფტით გამორჩეული გუნდები პლეი ოფში გავიდნენ



ბუენოსაირესული შეხვედრის მონაწილენი: მასპინძელი არგენტინა...

*ზეპურ ამერიკულ მაგარსაფარებზე ნავარდაგანევს კაცმეჩოგნეები თიხნარზე საპაექროდ ირაზმებიან. ოღონდ — სანამ ევროპულ თიხნარკორტებზე ბურთი გავარდებოდეს, წლევანდელ დევისთასს შერჩენილ რვა გუნდს მეოთხედფინალში გაბუქნავება მოელის. ბუქნაობა დღეს დაიწყება და ორშაბათისთვის ოთხი ნახევარფინალისტის გამოვლენით უნდა დასრულდეს. ძირითადად ყველას ის აინტერესებს, შეძლებენ თუ არა ჯიგრიანი გაუჩოები ბუენოსაირესულ ნითელმტვერში შარშანდელ ჩემპიონ რუსთა ამოგანგვლას*



...და სტუმარი რუსეთი

# ფორჟ მაჟორული სტატისტიკა

## უგორანო ხორვატები უკიდეგანო ესპანეთში დაიკარგებიან

**საფრანგეთი — შვეიცარია**

**„ლე ზენიტ სტადიუმი“ ტულუზი ჭერქვეშა მაგარსაფარი**

**საფრანგეთი: გი ფორჟე (კაპიტანი); სებასტიან გროჟანი, ნიკოლა ესკუდი, ფაბრის სანტორო, მიშელ ლოდრა**

**შვეიცარია: მარკ როსე (კაპ.); როჯერ ფედერერი, მიხელ კრატოხვილი, ივო ჰოიბერგერი, ჯორჯ ბასტლი**

ფრანგებს შვეიცარიელებთან აქამდე ათჯერ უბრძოლიათ და ცხრა გამარჯვების წილ მხოლოდ ერთხელ დამარცხებულან. ალპელთა გამარჯვებით დასრულებულ ერთადერთ შეხლაში ორივე ამჟამინდელი კაპიტანი მონაწილეობდა.

ეს ამბავი 1992 წელს მოხდა — ფრანგები წინა წლის ჩემპიონები იყვნენ და ფრანგულ ნიმში სამეოთხედფინალოდ ნასტუმრალ შვეიცარიელებთან 2:3 წაიფორხილეს. ფორჟესა და ანრი ლეკონტის წყვილმა მაშინ მარკ როსესა და იაკობ ჰლასეკის ჯუფთი დაჯაბნა, მაგრამ კენტ-კენტად უმჯობესნი მაინც ეს უკანასკნელნი გამოდგნენ.

წლევანდელ პირველ წრეში შარშანდელმა ფინალისტებმა ბუქარესტში რუმინელებს 4:1 მოუგეს და ფორჟემ იქ გალაღებული შემადგენლობა უცვლელად დატოვა. როსემ კი არნჰემში ჰოლანდიელთა 3:2 მძლეველ გუნდში ივ ალეგროს მაგივრად ივო ჰოიბერგერი შეიყვანა.

**შვედეთი — ავსტრალია**

**„ბალტისკა ჰალენი“**

**მალმიო. ჭერქვეშა მაგარსაფარი**

**შვედეთი: მატს ვილანდერი (კაპ.); ტომას ენკვისტი, იონას ბიორკმანი, მაგნუს ნორმანი, იოახიმ იოჰანსონი.**

**ავსტრალია: ჯო ფიცჯერალდი (კაპ.); ლეიტონ ჰიუიტი, მარკ ფილიპუსისი, უეინ ართურსი, ტოდ ვუდბრიჯი**

ეს გუნდები ერთმანეთს უკანასკნელად 2001 წელს სიდნეურ ნახევარფინალში ერკინნენ. ის რკენა ოზთა გამარჯვებით დასრულდა და მათ ჩრდილოელებს უკვე 6:2 გაუსწრეს. შვედთა სასარგებლოდ ის გარემოება მეტყველებს, რომ ავსტრალიელებს ისინი ორივეჯერ მშობლიურ ნიადაგზე გაუსწორდნენ — პირველად 1985 წელს მალმიოში, მეორედ კი 1992 წელს ლუნდში.

ორისწლისწინანდელ შეხლაში ნაჩოგნავებთაგან ავსტრალიელებს ამ პარასკევ-უქმეებზე ლეიტონ ჰიუიტი, უეინ ართურსი და ტოდ ვუდბრიჯი ეყოლებათ, შვედებს კი — იონას ბიორკმანი და ტომას ენკვისტი.

მასპინძელთა კაპიტანმა მატს ვილანდერმა, რომელიც, სხვათა შორის, 1985 წელს ავსტრალიელებთან მოგებულ იმ პირველ დევისდაგნარში მონაწილეობდა, საპირველწრეო შემადგენლობაში ორი კაცი შეცვალა. ჰელსინგბორგში ბრაზილიელთა 3:2-ით მომრევ გუნდს მაგნუს ლარსონისა და ანდრეას ვინსიგერას მაგივრად მაგნუს ნორმანი და იოახიმ იოჰანსონი შეუერთდნენ.

ჯონ ფიცჯერალდმა კი მალმიოში იგივე რაზმი იახლა, რომელმაც სიდნეიში საპირველწრეოდ დიდი ბრიტანეთი 4:1 შემუსრა.

**ესპანეთი — ხორვატია**

**„კლუბ ტენის ვალენსია“**

**ვალენსია. თიხნარი**

**ესპანეთი: ხორდი არესე (კაპ.); ალექს კორეჩა, ხუან კარლოს ფერერო, ალბერტ კოსტა, კარლოს მოია**

**ხორვატია: ნიკოლა პილიჩი (კაპ.); ივან ლიუბიჩიჩი, მარიო ანჩიჩი, ლოვრო ზოვკო, მარიო რადიჩი**

ესპანურმა არმადამ პირველ წრეში სევილიაში ბელგიელებს 5:0 გადაუარა და, რაკილა მას შემდეგ ერთი მუჩაჩოც არ დაშავებია, ხორვატთა დაძირვასაც იმავე ოთხეულით ეცდება.

ესპანელები ხორვატებს სადევისოდ პირველად შეხვდებიან და ამ შეხვედრის შედეგი ცოტას თუ ეეჭვება. დამხვდურთა შთამბეჭდავი ჩამონათვალი იქით იყოს და სტუმრებს ვერც მათი უსახელოვნესი მეჩოგნე გორან ივანიშევიჩი დაეხმარებათ. 2001 წლის მეუიმბლდონემ ამ რამდენიმე დღის წინ მაიამის პლაჟზე ბოდიალისას ტერფი გადაიჭრა და ახლა ჩოგნაობის თავი არა აქვს.

შეგახსენებთ, რომ ხორვატები დევისის თასზე 1993 წლიდან გამოდიან და ნახევარფინალამდე ჯერ ერთხელაც ვერ გაუღწევიათ. პირველ წრეში მათ შინ 4:1 ძლიეს ამერიკელებს.

**არგენტინა — რუსეთი**

**„კლუბ ატლეტიკო რივერ პლეიტი“ ბუენოს აირესი. თიხნარი**

**არგენტინა: გუსტავო ლუსა (კაპ.); დავიდ ნალბანდიანი, გასტონ გაუდიო, მარიანო საბალეტა, ლუკას არნოლდი**

**რუსეთი: შამილ ტარპიშჩევი (კაპ.); მარატ საფინი, ევგენი კაფელნიკოვი, მიხაილ იუჟნი, ნიკოლაი დავიდენკო**

შარშანდელ ჩემპიონებს მათი მთავარძალა, მარატ საფინი დაუბრუნდება.

23 წლის ოყრაყ სკვითმუსლიმს სეზონის პირველი მეოთხედი ტრავმებმა წაუმურდლეს. ჩეხებთან სტუმრად 3:2-ით მოგებულ ომშიც მან მაჯის ტრავმის გამო ვერ იმონაწილევა.

მწყობრშია იმ ომის გმირი ნიკოლაი დავიდენკო, ვინაც შუათებერვალში ასევე მაჯა იტკინა და ჩოგნის ქნევა მხოლოდ მაიამობაზე განაახლა.

არგენტინელთაგან პირველ წრეში გერმანელთა 5:0-ით გამპარტახებელ რაზმს ხუან იგნასიო ჩელა დააკლდება, ვისაც — გუსტავო ლუსას გადაწყვეტილებისამებრ — მარიანო საბალეტა ჩააროქებს.

რუსებმა და არგენტელებმა შარშანაც ითამაშეს. მოსკოვურ ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა 3:2 იმარჯა.

**ლევან ძელაურაძე**



**1** გოდერძი შველიძე (საქართველო)
**2** მარიუს ტინკუ (რუმინეთი)
**3** ტარიელ რატიანიძე (საქართველო)
**4** სორინ სოკოლი (რუმინეთი)
**5** სერგეი სერგეევი (რუსეთი)
**6** გეორგე კირიაკი (რუმინეთი)
**8** ოვიდიუ ტონიცა (რუმინეთი)
**7** გრეგუარ იაშვილი (საქართველო)
**10** კონსტანტინ რაჩკოვი (რუსეთი)
**9** ირაკლი აბუსერიძე (საქართველო)
**11** გაბრიელ ბრეზოიანუ (რუმინეთი)
**12** რომეო გონტინიაკი (რუმინეთი)
**13** დიეგო მატეუში (პორტუგალია)
**14** ნუნუ გარვაო (პორტუგალია)
**15** გონსალო მალეირუ (პორტუგალია)

# ჩვენი ნაკრების ნაკრები

## ქართველებმა რუმინელები, ქართველები, პორტუგალიელები და რუსები შეარჩიეს

**თუმცა** რუმინეთს და რუსეთს კიდევ დარჩათ თითო მატჩი, მაგრამ წლევანდელი ერთა თასი ფაქტობრივად დასრულდა. ორივეს მაისში ელით ჩეხებთან გადადებული საგარეო ჯაჯგური.

ისე, ტურნირში გამარჯვებული უკვე ცნობილია და ეს ორი მატჩიც მხოლოდ ფორმალობაა. წლევანდელი შეჯიბრი, მოგეხსენებათ, „დიდი სლემით“ სენსაციურად მოიგო პორტუგალიამ.

ჩვენ თავს უფლება მივეცით, წლევანდელი ერთა თასის სიმბოლური ნაკრები შეგვედგინა. სიმბოლური ნაკრების შერჩევა ასეთი პრინციპით მოხდა: საქართველოს ნაკრების წევრებმა ამპლუების მიხედვით ჩვენი და ჩვენი მეტოქეების საუკეთესო მორაგბეები დაასახელეს. მორაგბეებმა, რომლებსაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს, ამ სიმბოლურ ნაკრებში ერგოთ ადგილი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი გოდერძი შველიძე, რუმინელი მარიუს ტინკუ და რუსი სერგეი სერგეევი უკლებლივ ყველა გამოკითხულმა ბორჯღალოსანმა შეიყვანა სიმბოლურ გუნდში. ევროპის მცირე სარაგბო ერთა ნაკრების მწვრთნელობა კი პორტუგალიელთა დამრიგებელ ტომაშ მორაიშს „ვუბოძეთ“.



პორტუგალიელთა მოძღვარი ტომაშ მორაიში

# კაი ბიჭები თხუთმეტნი დავრჩით

**ავტორიტეტულმა** სარაგბო საიტმა „PLANET-RUGBY“-იმ წლევანდელი ექვსი ერის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. 22-კაციან ნაკრებში ყველაზე მეტი — 8 ირლანდიელი მორაგბე მოხვდა, ოღონდ ამათგან 3 სათადარიგოებშია გამწესებული. ძირითად თხუთმეტეულში კი მოლოდინისამებრ ექვსი ერის მომგები ინგლისელები სჭარბობენ. მესამეადგილოსანი საფრანგეთი სამი რჩეულით „შეეწია“ ექვს ერს, მაგრამ ამათგან მხოლოდ ერთი, „აკანის“ შერკინების ბურჯი ჟან-ჟაკ კრენკა მოხვდა ძირითადში.

წლეულს გვარიანად წამოჩიტულ იტალიიდან და მომძლავრებული შოტლანდიიდან „PLANET-RUGBY“-იმ რჩეულებში ორ-ორი კაცი შეიყვანა, ხოლო ყველა მატჩში დამარცხებული და ტურნირის სამარცხვინო პრიზის, „ხის კოვზის“ მფლობელ უელსს ნამუსი მათმა ფეხმარდმა უკანახაზელმა, რის უილიამსმა მოსწმინდა. იგი სათადარიგო ბეკად გააწესეს.



ექვსი ერის ჩემპიონი ინგლისის ყმაწვილი ლიდერი ჯონი უილკინსონი

**1** ჟან-ჟაკ კრენკა (საფრანგეთი)
**2** სტივ ტომპსონი (ინგლისი)
**3** ჯეისონ ლეონარდი (ინგლისი)
**4** მარტინ ჯონსონი (ინგლისი)
**5** მალკოლმ ოკელი (ირლანდია)
**6** რიჩარდ ჰილი (ინგლისი)
**8** ენტონი ფოლი (ირლანდია)
**7** აარონ პერსიკო (იტალია)
**10** ჯონი უილკინსონი (ინგლისი)
**9** ალესანდრო ტრონკონი (იტალია)
**11** კრის პატერსონი (შოტლანდია)
**12** კევინ მაგსი (ირლანდია)
**13** ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია)
**14** ჯეისონ რობინსონი (ინგლისი)
**15** ჯორდან მერფი (ირლანდია)

სათადარიგონი: 16 რაფაელ იბანესი (საფრანგეთი), 17 ბრიუს დუგლასი (შოტლანდია), 18 ფაბიენ პელუ (საფრანგეთი), 19 კიტ გლისონი (ირლანდია), 20 პიტერ სტრინგერი (ირლანდია), 21 დევიდ ჰემფრიზი (ირლანდია), 22 რის უილიამსი (უელსი)

# ბედის ნებიერა

*ქართული სპორტისა და მთელი თბილისის პოპულარული პიროვნება ჯანო ბაგრატიონი სამოცდახუთისა გახდა.*

*ჯანო (ჯანსუღ) ბაგრატიონი დაიბადა თბილისში, 1938 წლის 4 აპრილს. 1977 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მანამდე, 1962 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის დამთავრების მერე იქვე დატოვეს კათედრაზე სამუშაოდ. თერთმეტი წელი იყო ამავე ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე, დოცენტი. 1983 წლიდან მუშაობდა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, 1986 წლიდან საქართველოს სპორტკომიტეტის, მერე სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, ბოლოს, სპორტის დეპარტამენტად წოდებული ორგანიზაციის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1994 წლიდან იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, 1996 წლის მიწურულს კი აირჩიეს მის პრეზიდენტად, რითაც ორი თანამდებობა შეითავსა. იგი ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე იყო საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი.*

*თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა გუნდის წევრებთან ერთად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორი. არის სპორტის ოსტატი, საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, 18 სამეცნიერო მეთოდური ნაშრომის ავტორი და ერთი მონოგრაფიის თანაავტორი. საქართველოს პარლამენტის წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენით.*



შეტევაზეა ჯანო ბაგრატიონი

მიხეილ ზარგარიანის ფოტო

— ბატონო ჯანო, ახლა, როცა 65 წლის საიუბილეო თარიღს დგდგით და განვლილ ცხოვრებას იხსენებთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ბედის ნებიერი ხართ. თქვენ ხომ მთელი ცხოვრება იმას აკეთებდით და იმ სფეროში მოღვაწეობდით, რომელიც ყველაზე მეტ სიამოვნებას განიჭებდათ. იყავით ცნობილი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრის სოლისტი, იმავე ინსტიტუტის დოცენტი, სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე, ახლა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი... თანაც კარიერა როგორღაც თავისთავად და იოლად გამოგდიოდათ. როგორ ფიქრობთ, ამაში გარკვეულწილად გვარიშვილობაც ხომ არ გეხმარებოდათ? თუმცა, ისიც ფაქტია, რომ კომუნისტურ ხანაში დიდგვაროვანთ სდევნიდნენ, ავიწროებდნენ და თავს სასტიკ რეპრესიებსაც ატეხდნენ.

— ერთხელ გითხარით, სკამისთვის თავი არასოდეს მომიკლავს და საქმე თვითონ მკრა-მეთქი ხელი. ისე მოხდა, რომ ახალგაზრდობაში მართლაც ძალიან პოპულარული ვიყავი და ბედს არც ახლა ვუჩივი. წინააღმდეგობას არსად, არცერთ სფეროში არ წავწყდომივარ და გზის გადაღობვაც არ უცდიათ. უცხოეთში უპრობლემოდ მიშვებდნენ. სხვათა შორის, ეს ყოველივე მამაჩემს უკვირდა. ერთხელ დედას ისიც კი უთხრა, ეს ჩვენი ბიჭი ნეტა კაგებესთან ხომ არ არის შეკრულიო. არადა, იმ დროს დიდგვაროვანთ მართლაც სდევნიდნენ. მამაჩემს ყველგან და ყოველთვის დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა. ასე იყო ქორეოგრაფიაშიც, ჯაზშიც და საერთოდ ცხოვრებაში. 1938 წელს, იმ საშინელი რეპრესიების წლებში, მე რომ რამდენიმე თვისა ვიყავი, მამა 16-კაციანი დელეგაციის შემადგენლობაში ინგლისში, საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე უნდა გამგზავრებულიყო. იმ დღეს უთენია მივიდა აეროპორტში, იქ კი, ტრაპთან, მოულოდნელად წამოსულმა სია წაიკითხეს, იმ თექვსმეტიდან მხოლოდ ერთი გამოტოვეს. ის ერთი მამაჩემი იყო. ისეთი დროც მახსოვს, როცა მამა რამდენიმე დღე შინ არ გამოჩენილა. წარმოიდგინეთ ამ დროს ჩვენი ნერვიულობა, ღელვილი. მერე დაბრუნებული საზღვრის დიდი ტანჯვა, ტარდი და მტუხრება ეწერა. ზოგს დაკითხვებს, ზოგს კი შანტაჟს უწყობდნენ, ზოგსაც თავისკენ იბირებდნენ. მაშინ კაგებს სპეციალური ბინები ჰქონდა, სადაც ხალხს იბარებდნენ. 1974 წელს სამოცდაათისა რომ იყო... 60 წლის იუბილე გადაუხადეს. მამა მთელი ცხოვრება ბინას ელოდა და ბოლოს, როგორც იქნა, აღირსეს. საბურთალოზე, პავლოვის ქუჩის ბოლოში მივიღეთ ბინა. იმის იქით აღარაფერი იყო და ამიტომ მამა ხუმრობდა, ხაშურში ვცხოვრობთო. მაგრამ ყოველივე ამას ვინ ჩივის, კმაყოფილები უნდა ვიყოთ, რომ საერთოდ არ დახვრიტეს. ეტყობა, ბაგრატიონობის გამო მაინც რაღაც რიდი ჰქონდათ.

ჩემდა საბედნიეროდ, მე ასეთი წინააღმდეგობები არ შემხვედრია.

**— ოლიმპიელებთან ერთ-ერთი შეხვედრისას ედუარდ შევარდნაძემ ნახევრად ხუმრობით თქვენ საქართველოს მომავალი მეფე გიწოდათ. ეგეც არ იყოს, საინტერესოა თქვენი გენეალოგია.**

— მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მისი ბოლო მეფე გიორგი VIII (1446-1466 წწ.) კახეთში გადავიდა, იქ დამკვიდრდა და სათავე დაუდო ბაგრატიონთა კახეთის შტოს.

გიორგი აქ 10 წელიწადს მეფობდა და მისი გარდაცვალების შემდეგ (1476 წ.) კახეთში მისი ვაჟი — ალექსანდრე გამეფდა. მას ორი ვაჟი — გიორგი და დიმიტრი (დემეტრე) ჰყავდა. ალექსანდრე ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრე იყო და მას ამაში მხარს უმცროსი ვაჟი — დიმიტრიც უჭერდა. გიორგი, რომელსაც მხარს კახეთის ფეოდალებიც უჭერდნენ, ქართლის სამეფოს შემოერთების მომხრე იყო და რაკი დარწმუნდა, რომ მამისა და ძმისთვის ეს მიუღებელი იყო, 1511 წელს მამა სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო ძმას თვალები დასწვა. ამ საქციელის გამო იგი ისტორიაში „ავგიორგის" სახელით შევიდა. დიმიტრის კახეთში აღარ დაედგომებოდა და ოჯახიანად ქართლში გადმოსახლდა. აქ დამკვიდრდა, დირბში ციხეც ააგო. ბაგრატიონთა ამ განშტოებას „თვალდამწვრიანები" ეწოდათ, ხოლო უფრო მოგვიანებით, დიმიტრის ვაჟის — დავითისგან ისინი დავითიშვილებად იწოდებოდნენ, ანუ, როგორც ისტორიკოსი ამბობს — „გაუგვარდათ ამა სახელისა გამო".

ჩვენი უშუალო წინაპრები ამჟამინდელი ქარელის რაიონის სოფელ აბანოში სახლობდნენ. პაპაჩვენის მამას — ნიკოლოზს — ოთხი შვილი, ოთხივე ვაჟი ჰყავდა — ალექსანდრე (სანდრო), გიორგი (გოგინა), კონსტანტინე და არჩილი.

— თქვენ თვითონ მეფობაზე არ გიფიქრიათ, ან ბავშვობაში მაინც არ გიოცნებიათ?

— ბავშვობაში ნამდვილად არ მიოცნებია. ყოველ შემთხვევაში ვერ ვიხსენებ, მეფობაზე არც ყმაწვილკაცობაში და არც მერე არ მიფიქრია. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მერე მეგობრები მეხუმრებიან, აი დამოუკიდებელი საქართველო, აი ტახტი, დაჯექი და იმეფე, ჩვენ კი შენი ნაზირ-ვეზირები ვიქნებითო. ისე, შინაგანად მონარქისტი ვარ, თუ ოდესმე საქართველოში მონარქისტული წყობა აღსდგება, ეს, ალბათ, უფრო სიმბოლური მნიშვნელობისა იქნება. საამისოდ შესაფერისი დრო და პირობები უნდა მომწიფდეს, მერე კი სიმბოლური მეფე იტალიიდან და ესპანეთიდან კი არ უნდა ჩამოვიყვანოთ, არამედ საქართველოშიც არიან ნიჭიერი, განათლებული, ზრდილი ახალგაზრდა ბაგრატიონები, რომლებსაც ყოველმხრივ ეკუთვნით ეს ტიტული.

სხვათა შორის, ბაგრატოვანთა სახლი შევქმენით. მას ნინუკა ბაგრატიონი ხელმძღვანელობს, მე კი მოადგილე ვარ. მასში ასამდე ბაგრატიონი გავერთიანდით. ჩვენი მიზანი ამ სახლის გვარის, მისი სახელის პოპულარიზაციაა. ბოლოს და ბოლოს, ბაგრატიონებივით ათსაუკუნოვანი მეფობის ისტორიით სხვა ვინ მოიწონებს თავს?

**— თქვენს საოჯახო ალბომში ერთ-ერთი საინტერესო ფოტოა ესპანეთის მეფე ხუან კარლოსთან გადაღებული სურათი. მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს მისი გადაღების ისტორია.**

— მაშინ, 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ხოგბურთელთა ტურნირზე ვიყავი. პაპანაქება იყო და როგორც თითქმის ყველა, კორტებზე პაექრობას მეც, შორტებში გამოწყობილი ვადევნებდი თვალ-ყურს. იქ დიდი ამალით ესპანეთის მეფეც მობრძანდა. ერთმანეთიც იქვე გავიცანით. აღმოჩნდა, რომ ხუან კარლოსი [illegible] თრებით კარგად იცნობდა ესპანეთთან დაკავშირებული ბაგრატიონების ისტორიას. მეფემ გაიხსენა ავტორბოლელი ხორხე ბაგრატიონი, სხვა ქართველი სპორტსმენებიც. მერე სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ, რომელიც უკვე თბილისში დაბრუნებულმა ხუან კარლოსისგან სამეფო გვირგვინით გამოსახული მუყაოზე დაკრული და ავტოგრაფით დამშვენებული მივიღე.

— 1991 წლის ამერიკულ ჟურნალ „თაუნ ენდ ქანთრიში" გამოქვეყნებულ ნარკვევში თქვენს შესახებ იყო მოხსენიებული. ავტორი ერინ კონდიტი გაკვირვებული და აღტაცებული წერს: „ჯანო ბაგრატიონს წითელი ღვინით სავსე ორფუნტიანი ყანწი უჭირავს. იგი მაგიდიდან ოდნავ მოშორებით დგას. ძლევამოსილი მზერით ყველა ჩვენგანის თვალებში ღრმად იხედება და ამბობს სადღეგრძელოს: „მე ვსვამ ჩემი წინაპრების, საქართველოს მეფეების და ოჯახის იმ წევრთა სადღეგრძელოს, რომლებიც ამ ღირსშესანიშნავ წვეულებაზე ჩვენს შორის აღარ არიან." მერე სამეფო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი მშობლიურ ენაზე ამბობს: „გაუმარჯოს!" და ერთი ამოსუნთქვით ცლის ყანწს. იმ დღეს ჯანო ბაგრატიონმა ოცდახუთი ჭიქა ღვინო დალია."

— დალევით მართლაც ბევრი შემიძლია ისე, რომ არ ვთვრებოდი. ჭიქას ყოველთვის ბოლომდე ვცლიდი, თუმცა, ზომიერი სასმისი მიყვარს. სასმელებიდან კახური ღვინო ყველაფერს მირჩევნია. რაც შეეხება თამადობას, ხშირად მეათე კლასში ვიყავი, როცა სუფრას გავუძეხი, მაგრამ პროფესიონალი თამადა ნამდვილად არ ვარ. სუფრას არც ისე ხშირად გავძღოლივარ. ეს უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. ამბობენ, რომ ცუდი თამადა არ ვარ. ისე კი, როცა ვთამადობ, ცოტა არ იყოს, შებოჭილი ვარ და ვერ ვიხსნები.

**— ამბობთ, ჩემი მეუღლე უგემრიელეს კერძებს ამზადებსო, რასაც მეც გიდასტურებთ. თქვენი გურმანობის ამბავიც ვიცით, მაგრამ თავად თუ გეხერხებათ მზარეულობა?**

— ცოტ-ცოტა რაღაც რაღაცეები მეხერხება და სამზარეულოშიც არაერთხელ დავტრიალებულვარ.

**— ახლა, თქვენი 65 წლის იუბილეზე განსხვავებული სასმისით რომელ სადღეგრძელოს დალევთ?**

— სხვათა შორის, სამოცისა რომ გავხდი, ექვსასამდე კაცი რესტორან „არაგვში" მივიწვიე. ბევრი მაინც დაუპატიჟებელი დამრჩა და გამინაწყენდა კიდეც. ამიტომ ახლა 65 წლის იუბილეს მხოლოდ ვიწრო წრეში აღვნიშნავ. რაც შეეხება განსხვავებულ სასმისს, მხოლოდ ოჯახში ვსვამ მამის სადღეგრძელოს და ტრადიციას არც ახლა დავარღვევ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ვლადიმერ მრემაევის ფოტო

1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თბილისის „ბურევესტნიკი": დგანან ჯანო ბაგრატიონი, ჯემალ ცერცვაძე, მწვრთნელი გიორგი შარაშიძე, თამაზ ანთაძე, გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია; სხედან — ანზორ ეკსეულიძე, ჯემალ ზაქარიაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, ბორის კოპალეიშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი



ემზარ ზენაიშვილის ფოტო

ჯანო ბაგრატიონი და ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი

# რბოლამდე




REUTERS სან პაულუდან

ახლოვდება ბრაზილიის დიდი საფორმულე პრიზის გათამაშება და მეფორმულენიც სან პაულუში იყრიან თავს. „უილიამსის“ კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია ერთხანს კარტის სარეკლამო ტარებით გაერთო, მერე კი პრესკონფერენციისკენ გაიჩქარა. ფერარელი მიხაელ შუმახერი კი ჯიუტად მიჰყვება საფეხბურთო საქმეს. სან პაულოს შტატის პელეთი ცნობილ ქალაქ სანტოსის კლუბ „სანტოსში“ ახლა ორი თინეიჯერი გენიოსი დიეგო (მარცხნივ) და რობინიო თამაშობს, შუმიმ იმდენი მოახერხა, რომ „სანტოსი“ ორად გაიყო და ამხანაგური საქველმოქმედო მატჩიც გაიმართა, რა თქმა უნდა, დიდი ჩემპიონის მონაწილეობით.




REUTERS სან პაულუდან



REUTERS სანტოსიდან

# მოტოკიმონოები

კვირას სუძუკას ტრასაზე სეზონის გამხსნელი იაპონიის დიდი პრიზი გათამაშდება 250 კუბურსანტიმეტრიანძრავიან მოტოთა შორის. კიმონოიან კოხტა გოგოებთან სურათის გადაღება კი აუცილებელიცაა. ფრანგი ოლივიე ჟაკი და ერთადერთი მოტოგოგონა, გერმანელი კატია პენსგენი ამას ხალისით თანხმდებიან. თქვენ კი წარმოიდგინეთ კატია კიმონოში.







REUTERS სუძუკადან



REUTERS ჰიუსტონიდან

# კოსმოსიდან ბეისბოლზე

ასეც მოხდება: კოსმოსიდან პირდაპირ ბეისბოლზე მოხვდები. „ჰიუსტონ ასტორზი“ „კოლორადო როკიზს“ ხვდება. ჰიუსტონში კი ყოველ ასტრონავტს თავისიანად თვლიან, რადგან ფრენის მართვის ცენტრი ჰიუსტონშია, ხოლო კოსმოსში იქავ მდებარე კანავერალის კონცხიდან მიფრინავენ. ამიტომ ნიკოლაი ბუდარინი, კენ ბოიერკოქსი და დონი პეტიტი „ასტორზს“ და მის გულშემატკივრებს ესალმებიან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ქელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge